

სარჩელის რეგისტრაციის № _____ მიღების თარიღი: _____/_____/_____



კონსტიტუციური სარჩელის სასარჩელო სააპლიკაციო ფორმა

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით საქართველოს ნორმატიული აქტის შესაბამისობის შესახებ (საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი).

ფორმის შევსების დეტალური ინსტრუქცია და რჩევები შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე www.constcourt.ge. სარჩელის ფორმის თაობაზე, კითხვების ან/და რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ <https://www.constcourt.ge/ka/contact>.

I
ფორმალური ნაწილი

1. მოსარჩელე/მოსარჩელები *შენიშვნა¹*

<ol style="list-style-type: none"> 1. ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი 2. ა(ა)იპ უფლებები საქართველო 3. ა(ა)იპ სამოქალაქო საზოგადოების ფონდი 4. ა(ა)იპ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება 5. ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 6. ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრი 7. ა(ა)იპ ქვემო ქართლის მედია 8. ა(ა)იპ ევროპულ-ქართული ინსტიტუტი 9. ა(ა)იპ განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი 10. ა(ა)იპ სამოქალაქო იდეა - სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული ევროატლანტიკური არჩევანისათვის 11. ა(ა)იპ ნეო ტვ 12. ა(ა)იპ ქართული მედია ჯგუფი 13. ა(ა)იპ საზოგადოებრივი მოძრაობა მწვანეები 14. შპს მთავარი არხი 15. ა(ა)იპ თბილისი პრაიდი 16. ა(ა)იპ ფონდი ინდიგო 17. ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი 18. ა(ა)იპ გორელ ფოტოგრაფთა კლუბი 19. ა(ა)იპ კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის 20. ა(ა)იპ კაქტუსი 21. ა(ა)იპ კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი-კავკასიური სახლი 22. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა 23. შპს ტოკ ტვ 24. ა(ა)იპ ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი 25. ა(ა)იპ სოლიდარობის თემი 26. ა(ა)იპ საქართველოს პროგრესული ფორუმი 27. ა(ა)იპ ეკონომიკური პოლიტიკისა და კვლევის ცენტრი 28. ა(ა)იპ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი 29. ა(ა)იპ საქართველოს მომავლის აკადემია 30. ა(ა)იპ დოკუმენტური კინოს ასოციაცია 31. ა(ა)იპ ხელები მშვიდობისთვის 	<ol style="list-style-type: none"> 1. 2. 	<ol style="list-style-type: none"> 1.
--	--	--

¹ თუ მოსარჩელეთა რაოდენობა არის ორი ან ორზე მეტი, თითოეული მოსარჩელის მონაცემები შეიყვანეთ თანმიმდევრულად და გამოიყენეთ ნუმერაცია. სარჩელიდან ცხადად უნდა ირკვეოდეს, რომელ მოსარჩელეს უკავშირდება ამ ველში შეყვანილი მონაცემი. თუ მოსარჩელე ერთდროულად არის რამდენიმე ქვეყნის მოქალაქე, მიუთითეთ შესაბამისი სახელმწიფოები.

32. ა(ა)იპ პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის
33. ა(ა)იპ პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის - Partnership For Human Rights
34. ა(ა)იპ სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი
35. ა(ა)იპ დემოკრატ მესხთა კავშირი
36. ა(ა)იპ მთის თემი
37. ა(ა)იპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი
38. ა(ა)იპ შშმ ქალთა ალიანსი
39. ა(ა)იპ საქართველოს ფერმერთა ასოციაცია
40. ა(ა)იპ ასოციაცია შავი ზღვის ეკო-აკადემია
41. ა(ა)იპ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია
42. ა(ა)იპ საქართველოს გაეროს ასოციაცია
43. ა(ა)იპ საქართველოს ატლანტიკური საბჭო
44. ა(ა)იპ ალტერნატივა ჯორჯია
45. ა(ა)იპ ფონდი აურეს
46. ა(ა)იპ ადამიანის უფლებათა ცენტრი
47. ა(ა)იპ რუსეთის კვლევის ცენტრი
48. ა(ა)იპ საქართველოს ევროპული ორბიტა
49. ა(ა)იპ დემოკრატიის მცველები
50. ა(ა)იპ ადამიანის უფლებების განვითარების ფონდი
51. ა(ა)იპ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი
52. ა(ა)იპ ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
53. ა(ა)იპ მედია ცენტრი კახეთი
54. შპს კახეთის ხმა
55. ა(ა)იპ სოციალური კვლევისა და პოლიტიკური ანალიზის საერთაშორისო ცენტრი
56. შპს გაზეთი ბათუმელები
57. ა(ა)იპ თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი
58. ა(ა)იპ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანა
59. ა(ა)იპ საქართველოს აგრო-ტურიზმის რეგიონული ასოციაცია
60. ა(ა)იპ სამოქალაქო მოძრაობა თავისუფლებისთვის
61. ა(ა)იპ ცვლილებისა და კონფლიქტის მართვის ცენტრი პარტნიორები-საქართველო
62. ა(ა)იპ ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი
63. ა(ა)იპ ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაცია
64. ა(ა)იპ ღია სივრცე კავკასია
65. ა(ა)იპ სოვა ნიუსი

66. ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია დეა
67. ა(ა)იპ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
68. ა(ა)იპ კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი
69. ა(ა)იპ საფარი
70. ა(ა)იპ უზუცეს ქალთა საბჭო
71. ა(ა)იპ რეფორმებისა და კვლევის ჯგუფი
72. ა(ა)იპ სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი თაობათა დიალოგი
73. ა(ა)იპ ერთიანობა კავკასიის აპოლიტიკური აკადემია
74. ა(ა)იპ საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი - თანადგომა
75. ა(ა)იპ არასამთავრობო ორგანიზაცია წერტილი
76. ა(ა)იპ ფონდი ტასო
77. ა(ა)იპ ჰოუმ - ადამიანებისა და ორგანიზაციული განვითარების ეკოსისტემა
78. ა(ა)იპ ინსტიტუციური და შესაძლებლობების განვითარების ცენტრი
79. ა(ა)იპ თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი
80. ა(ა)იპ ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის
81. ა(ა)იპ ბათუმის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი
82. შპს გურია ნიუსი
83. ა(ა)იპ ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
84. ა(ა)იპ დემოკრატიის ინსტიტუტი
85. ა(ა)იპ საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი
86. ა(ა)იპ ახალგაზრთა პედაგოგთა კავშირი
87. ა(ა)იპ ინოვაციების და ცვლილებების ინსტიტუტი
88. ა(ა)იპ სამოქალაქო მოძრაობა - სამეგრელოს ხმა
89. ა(ა)იპ მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
90. ა(ა)იპ სამოქალაქო საბჭო თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში
91. ა(ა)იპ სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ნაკრესი
92. ა(ა)იპ დემოკრატიული ინსტიტუტების კვლევის ცენტრი
93. ა(ა)იპ კავშირი საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო
94. ა(ა)იპ საქართველოს სასამართლოს გუშაგი

<p>95. ა(ა)იპ ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი პროგრესის სახლი</p> <p>96. ა(ა)იპ აშშ მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მონაწილეთა ასოციაცია</p> <p>97. ა(ა)იპ გარემოს დაცვითი სათემო ორგანიზაცია-ეკო</p> <p>98. ა(ა)იპ მწვანე პოლუსი</p> <p>99. ა(ა)იპ ყვარლის ევროკლუბი</p> <p>100. ა(ა)იპ მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრი</p> <p>101. ა(ა)იპ ახალგაზრდული ასოციაცია დრონი</p> <p>102. ა(ა)იპ კანონის უზენაესობის ცენტრი</p> <p>103. ა(ა)იპ მხარდაჭერის და შესაძლებლობის განვითარების ცენტრი</p> <p>104. შპს ჩემი ხარაგაული</p> <p>105. ა(ა)იპ ლელი</p> <p>106. ა(ა)იპ შეხვედრის ადგილი დმანისი</p> <p>107. ა(ა)იპ პლატფორმა სალამ</p> <p>108. ა(ა)იპ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია</p> <p>109. ა(ა)იპ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი</p> <p>110. ა(ა)იპ იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა</p> <p>111. ა(ა)იპ მედიის თავისუფლების ფონდი</p> <p>112. ა(ა)იპ ტოლერანტობის სამყარო</p> <p>113. ა(ა)იპ ორგანიზებული კრიმინალის კვლევის მედიაცენტრი</p> <p>114. ა(ა)იპ საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო</p> <p>115. ა(ა)იპ სამოქალაქო აქტივობისა და რეგიონული განვითარების ცენტრი</p> <p>116. ა(ა)იპ დემოკრატიის ინდექსი - საქართველო</p> <p>117. ა(ა)იპ საორსა</p> <p>118. ა(ა)იპ პუბლიკა</p> <p>119. ა(ა)იპ ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი</p> <p>120. ა(ა)იპ წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი</p> <p>121. ა(ა)იპ საქართველოს რეფორმების ასოციაცია</p> <p>122. ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების ასოციაცია</p>		
--	--	--

სახელი, გვარი/დასახელება	პირადი/ საიდენტიფიკაციო №	ტელეფონის ნომერი
--------------------------	---------------------------	------------------

1.	1.	1.
----	----	----

ელექტრონული ფოსტა	მოქალაქეობა, რეგისტრაციის ადგილი	მისამართი
-------------------	----------------------------------	-----------

2. მოსარჩელის წარმომადგენელი/წარმომადგენლები *შენიშვნა²*

1. გიორგი დავითური 2. ხათუნა კვინცხაძე 3. გიორგი გოცირიძე 4. ხატია ცეცხლაძე 5. მარინე კაპანაძე	1.
--	----

1.

2.

სახელი გვარი/დასახელება	პირადი/საიდენტიფიკაციო №	ტელეფონის ნომერი
1. ელექტრონული ფოსტა	1.	მისამართი

² კონსტიტუციურ სარჩელს უნდა ერთვოდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ წარმომადგენლების რაოდენობა არის ორი ან ორზე მეტი, იმოქმედეთ N1 შენიშვნის შესაბამისად.

3. სადავო სამართლებრივი აქტ(ებ)ი. *შენიშვნა³*

აქტის დასახელება	1. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი
მიღების თარიღი	1. 28/05/2024
მოქსახის დასახელება	1. საქართველოს პარლამენტი
მოქსახის მისამართი	1. რუსთაველის გამზირი, N8, 0118, საქართველო, თბილისი

4. მიუთითეთ სადავო ნორმა/ნორმებ. აგრეთვე, მათ გასწვრივ კონსტიტუციური დებულება/დებულებები, რომლებთან მიმართებითაც ითხოვთ სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას. *შენიშვნა⁴*

სადავო ნორმატიული აქტი (ნორმა)	საქართველოს კონსტიტუციის დებულება
„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის დასახელება და ამავე მუხლის პირველი პუნქტი, მე-4 მუხლის დასახელება და ამავე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტები, მე-5 მუხლი, მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი, მე-8 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტები, მე-9 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.	საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტები; საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი

³ მიუთითეთ ნორმატიული აქტის დასახელება, რომელიც შეიცავს, ადგენს სადავო ნორმებს. მიუთითეთ, ამ ნორმატიული აქტის მიღების/გამოცემის დასახელება და მიღების/გამოცემის თარიღი. რამდენიმე ნორმატიული აქტის დამატების შემთხვევაში, გამოიყენეთ ნუმერაცია.

⁴ გთხოვთ ჩამოაყალიბოთ სასარჩელო მოთხოვნის ფორმალური მხარე. კერძოდ, რომელ სადავო ნორმას კონსტიტუციის რომელ მუხლთან, პუნქტთან, ქვეპუნქტთან ან/და წინადადებასთან ხდით სადავოდ. მიუთითეთ, კონკრეტული სადავო ნორმა (ნორმატიული აქტის სადავო შინაარსობრივი ნაწილის იდენტიფიკაციის საშუალებები მაგ. მუხლი, პუნქტი/ნაწილი, ქვეპუნქტი, წინადადება და ა.შ) და მის გასწვრივ საქართველოს კონსტიტუციის ის დებულება, რომლის მიმართაც მოითხოვთ აღნიშნული სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას. თუ სასარჩელო მოთხოვნის მოცულობიდან გამომდინარე ფორმაში მოცემული სივრცე არ იქნება საკმარისი, ფორმა იძლევა ველების დამატების შესაძლებლობას. თუ ტექნიკურად ვერ ახერხებთ ახალი ველების დამატებას, ბოლო ველში შეგიძლიათ მიუთითოთ ერთზე მეტი სადავო ნორმა და კონსტიტუციის დებულება. ასეთ შემთხვევაში გთხოვთ, გამოიყენეთ ნუმერაცია იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სასარჩელო მოთხოვნის ცხადად იდენტიფიცირება.

--	--

5. მიუთითეთ საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ნორმები, რომლებიც უფლებას განიჭებთ, მიმართოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-60 მუხლის მეოთხე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 31-ე და 31¹ მუხლები და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი

კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობა, მოთხოვნის არსი და დასაბუთება

1. განმარტებები კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებით.
შენიშვნა⁵

ა) სარჩელი ფორმით და შინაარსით შეესაბამება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31¹ მუხლის მოთხოვნებს;

ბ) სარჩელი შეტანილია უფლებამოსილი პირის მიერ:

კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე ორგანიზაციათა დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, მოსარჩელე მხარე მიზანშეწონილად მიიჩნევს, წინამდებარე სადავო ნორმებზე კონსტიტუციური დავის უფლებამოსილების წარმოსაჩენად, ორგანიზაციები დაიყოს კატეგორიებად. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს, სასამართლოსთვის ცხადი იყოს, რომ სადავო კანონით გათვალისწინებული ყველა კატეგორიის, „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ დაკვალიფიცირებული ორგანიზაცია, არის კონსტიტუციურ სარჩელზე ხელმომწერი სუბიექტი.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული ა(ა)იპ-ები, რომლებიც აკმაყოფილებენ სადავო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

მაუწყებლები: მოსარჩელეთა შორის არიან შპს „მთავარი არხი“ და შპს „ტოკ ტვ“. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2019 წლის 5 სექტემბრის გ-19-2/503 გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ შპს „მთავარი არხი“ [ფლობს საერთო ტელემაუწყებლობის ავტორიზაციას](#), ხოლო კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 30 ნოემბრის 779/1 გადაწყვეტილებით — საერთო ტელემაუწყებლობის ავტორიზაციის [მფლობელია](#) შპს „ტოკ ტვ“.

ბეჭდური მედია: ასევე, მოსარჩელეებს შორის არიან: შპს „ჩემი ხარაგაული“ და შპს „გურია ნიუსი“. [„ჩემი ხარაგაული“](#) და [„გურია ნიუსი“](#) ოპერირებენ ინტერნეტ-გამოცემისა და გაზეთის სახით. ამდენად, ისინი ექვევნიან სადავო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბეჭდური მედიის კატეგორიაში.

ონლაინ მედია: ასევე, მოსარჩელეთა შორის არიან: ააიპ „სოვა ნიუსი“, ააიპ „პუბლიკა“, შპს „ბათუმელები“, შპს „კახეთის ხმა“, ააიპ „ნეო ტივი“ და ააიპ „ქვემო ქართლის მედია“. აღნიშნული ორგანიზაციები მასობრივი ინფორმაციის გასავრცელებლად ფლობენ ინტერნეტდომეინს და სადავო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოქმედების ქვეშ ექვევნიან.

მოსარჩელეთა ნაწილი აკმაყოფილებს სადავო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემოსავლის კრიტერიუმს, მათ შორის 2023 წლის მდგომარეობით. მოსარჩელეთა ნაწილი ამ კრიტერიუმს დააკმაყოფილებს 2024 წლის მდგომარეობით ან/და მათ შეიძლება მოუწიოთ ლეგიტიმურ ფინანსურ შემოსავლებზე უარის თქმა და თავიანთი საქმიანობის შეფერხება, რათა თავიდან აიცილონ საქმიანი რეპუტაციის შელახვა და შეურაცხმყოფელ რეესტრში რეგისტრაცია.

⁵ დასაბუთეთ, რომ მოსარჩელე/მოსარჩელეები არიან უფლებამოსილი სუბიექტები მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს. საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინეთ არგუმენტაცია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციურის წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის სხვა საფუძვლების არარსებობის შესახებ.

შესაბამისად, მოსარჩელე ორგანიზაციები სრულად ფარავენ სადავო კანონის მიერ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა“ სრულ სპექტრს. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ისინი არიან უფლებამოსილი სუბიექტები, იდავონ სადავო ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე.

რაც შეეხება უშუალოდ სადავო ნორმების შინაარსსა და მათ მიმართებას იდენტიფიცირებულ კონსტიტუციურ დებულებებთან, უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ სადავო ნორმები, შესაძლოა, რამდენიმე კატეგორიის შინაარსობრივ მოცემულობად დაიყოს:

- ნორმები, რომლებიც მოსარჩელე ორგანიზაციებს განსაზღვრავს, როგორც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა“;
- ნორმები, რომლებიც ადგენენ ამ ორგანიზაციათა მადისკრედიტირებელ რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულებას და ამ მიზნით შესაბამისი განცხადების, განაცხადის/საფინანსო დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებას;
- ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს ორგანიზაციის მონიტორინგის შესაძლებლობას და ამ პროცესში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანიჭებს პერსონალური, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების მოძიების, ნებისმიერი სუბიექტისგან გამოთხოვის უფლებამოსილებას და მათ მიწოდებაზე ამ სუბიექტთა შემხვედრ ვალდებულებას;
- ნორმები, რომლებიც მიემართება დასახელებული რეესტრის საჯაროობის განსაზღვრასა და მასში ორგანიზაციის თაობაზე არსებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის, აგრეთვე, წარდგენილი განაცხადის/საფინანსო დეკლარაციის საჯაროდ განთავსებას;
- ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს სხვადასხვა ზემოაღწერილ ვალდებულებათა დარღვევისთვის შესაბამის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, განსაკუთრებით მაღალი ოდენობის ფულადი ჯარიმის სახით;
- ნორმები, რომლებიც კანონის დროში მოქმედების საკითხს აწესრიგებს და მის ამოქმედებას ითვალისწინებს კანონის ძალაში შესვლამდე პერიოდში განხორციელებული საქმიანობის საფუძველზე.

თითოეული სადავო მოწესრიგება, მოსარჩელეებისთვის განსხვავებული ტიპის ვალდებულებას ითვალისწინებს, მათ შორის, მათ ანიჭებს მასტიგმატიზირებელ სტატუსს, ითვალისწინებს მონიტორინგის, ჯარიმების და უფლების შემზღვეველ სხვა მექანიზმებს, რომლებიც ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტებს, ასევე 22-ე მუხლით დაცულ უფლებათა სფეროებს (*აღნიშნულ კონსტიტუციურ დებულებებთან მიმართების, ჩარევის და დარღვევის დასაბუთება წარმოდგენილია სარჩელის შესაბამის ნაწილში*).

კონსტიტუციური სარჩელი აკმაყოფილებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის სხვა მოთხოვნებს.

1. კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთების მეთოდოლოგია და მიმოხილვა

სასარჩელო მოთხოვნის შინაარსის გათვალისწინებით, წარმოდგენილი არგუმენტაცია ეფუძნება შემდეგ სტრუქტურას:

1. არგუმენტაცია რომელიც უკავშირდება სადავო ნორმებიდან გამომდინარე შეურაცხმყოფელ და მასტიგმატიზირებელ ეფექტს (იხ. თავი N2);
2. არგუმენტაცია, რომელიც უკავშირდება სტიგმატიზაციის მიღმა, სადავო კანონით გათვალისწინებულ, მოსარჩელეთა უფლების შემზღვეველ ძირითად მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს (იხ. თავი N3);
3. არგუმენტაცია, რომელიც უკავშირდება სადავო ნორმების ლეგიტიმურ მიზანს. კერძოდ, იმის დასაბუთებას, რომ სადავო ნორმები არ ემსახურება ღირებული საჯარო ლეგიტიმური მიზნის მიღწევას (იხ. თავი N4);
4. არგუმენტაცია, რომელიც უკავშირდება შემზღვევა სადავო ნორმების შესაბამისობას კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებთან მიმართებით (მიმართება, უფლებით დაცული სფერო, ჩარევა).

სასარჩელო მოთხოვნის მაქსიმალური აღქმადობისა და მისი შინაარსის ხელოვნური გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად, შემოთავაზებული სტრუქტურის მე-2, მე-3 და მე-4 თავები არის გამჭოლი თითოეულ უფლებასთან მიმართებით. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ყოველ ჯერზე არ მოხდეს მათი გამეორება (გადაკოპირება), არამედ მათზე მითითება (რეფერირება) განხორციელდეს საჭიროებისამებრ, სადავო ნორმების თითოეულ კონსტიტუციურ უფლებასთან შესაბამისობის შესახებ მსჯელობისას.

ასევე, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის განხილვა/გადაწყვეტა უკავშირდება მნიშვნელოვანი ინტერესისა და შედეგების მქონე როგორც სამართლებრივ, ასევე სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებს (მახასიათებლებს), რაც, თავის მხრივ, ზრდის საქმის გადაწყვეტის გავლენას საქართველოს კონსტიტუციით დაცულ დემოკრატიულ, სამართლებრივ და სოციალურ წესრიგზე. ასევე, იგი კონსტიტუციის გამოყენების იშვიათ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას უკავშირდება.

⁶ გთხოვთ, წარმოადგინოთ დასაბუთება სადავო ნორმის (ნორმების) საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის დებულებასთან მიმართებით არაკონსტიტუციურობის თაობაზე. თუ სადავო ნორმის (ნორმების) კონსტიტუციურობის შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლთან ითხოვთ, გთხოვთ, ცალ-ცალკე წარმოადგინოთ დასაბუთება. თუ სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებლად იშველიებთ ეროვნულ, საერთაშორისო ან/და სხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკას ან/და კანონმდებლობას, აგრეთვე სამეცნიერო ან/და ანალიტიკურ ნაშრომებს, გთხოვთ, გააკეთოთ მკაფიო მითითებები შესაბამის წყაროზე მაგ.: დასახელება, პარაგრაფი, მუხლი, გვერდი და ა.შ.

2. სადავო ნორმების შინაარსი და სისტემურ-რეპრესიული ეფექტები სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიის უფლებებზე

2.1. სადავო ნორმების მასტიგმატიზირებელი, შეურაცხყოფელი და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ეფექტები

2.1.1. სადავო დეფინიცია და მისგან მომდინარე ძირითადი უფლებების შემზღუდავი ბუნება

სადავო კანონის მე-2 მუხლის დასახელება, მის პირველ პუნქტთან ერთობლიობით, განსაზღვრავს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის“ დეფინიციას. მოსარჩელე მხარე ეჭვქვეშ არ აყენებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებულ პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, ზოგადად, დეფინიციის დამდგენი ნორმები არ შეიცავენ ნორმატიულ მოთხოვნებს და უფლების შეზღუდვის წყაროდ ვერ ჩაითვლებიან. თუმცა, იმავდროულად, ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა ნორმატიული აქტით შესაძლებელია მოხდეს ნორმატიული მოთხოვნის დაწესების გარეშეც. აღნიშნული შემთხვევების ამომწურავად ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ მათ შორის, ერთ-ერთი ნამდვილად არის ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ტერმინოლოგიის გამოყენება — ამგვარ ტერმინთა მეშვეობით პირთა ჯგუფის იდენტიფიცირება (მონიშვნა).

კონსტიტუციური სარჩელის ფუნდამენტური მოთხოვნა უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოების ქართული ორგანიზაციების დისკრედიტირებას მათთვის „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის“ იარლიყის მინიჭებით, მათ სტიგმატიზაციასა და საქმიანობაში ხელშეშლის კონსტიტუციურობის საკითხს. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის სპეციფიკის გათვალისწინებით, დეფინიციის დამდგენი ნორმა მიჩნეულ უნდა იქნას ძირითადი უფლებების შეზღუდვის წყაროდ, თუ დადგინდება, რომ ამ ტერმინს ნამდვილად აქვს ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ბუნება, ხოლო მისი გამოყენებით მოსარჩელეთა ჯგუფის მონიშვნა, იწვევს ჩარევას საქართველოს კონსტიტუციით დაცულ უფლებებში.

მოცემულ ეტაპზე, ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ტერმინის შეურაცხყოფელ, მასტიგმატიზირებელ, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავ გავლენაზე, ხოლო ამ გავლენათა (ეფექტთა) ერთობლიობის მიმართებას თითოეულ კონსტიტუციურ უფლებასთან, სარჩელის შესაბამის ნაწილში, ცალ-ცალკე განვიხილავთ.

2.1.2. ტერმინის „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“ ნეგატიური კონოტაცია და ღირსების შემლახავი გავლენა (ეფექტი)

ტერმინი „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“ ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავია. აღნიშნულის დასტურად, მოცემული ტერმინის მხოლოდ გრამატიკული ანალიზიც კი გამოდგება. კერძოდ, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, იგი თითქმის გამორიცხავს (სულ მცირე, არსებითად აუფერულებს/აზრს უკარგავს) მის ქვეშ მოაზრებული პირის/ორგანიზაციის დამოუკიდებლობას, ინდივიდუალიზმს, პირად შეხედულებასა და ზოგადად, თავისუფალ პირთა ერთობის არსებობას სხვადასხვა იდეალისტური მიზნის მისაღწევად. ფაქტობრივად, ქართული ორგანიზაცია, რომელიც სადავო ტერმინის დეფინიციის სფეროში ექცევა, არსებობასა და საქმიანობას შეძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „უცხოური ძალის ინტერესების“ გამტარებლად დაიდენტიფიცირდება. სხვაგვარად, მითითებული ტერმინი იყენებს სიტყვათშეთანხმებას „ინტერესების გამტარებელი“ და იგი ავტომატურად უცხო ძალის ინტერესად/გავლენად აკვალიფიცირებს ქართული ორგანიზაციის მიერ გაკეთებულ ნებისმიერ საქმეს, არ ტოვებს არავითარ სივრცეს თავად ქართული

ორგანიზაციის, როგორც დამოუკიდებელი, ქმედუნარიანი სუბიექტისთვის, რომელიც მოქმედებს ავტონომიურად, ყოველგვარი გარე ჩარევის გარეშე. სხვაგვარად, სადავო ტერმინი გამოირიცხავს მის ქვეშ მოაზრებული ორგანიზაციის საქმიანობის თავისუფლებას და მას ყოველთვის, ყველა ვითარებაში, ნებისმიერი სახის საქმიანობის განხორციელებისას, „უცხოურ“ (მტრულ) გავლენას უკავშირებს.

ნიშანდობლივია, რომ მსგავსი ტერმინოლოგია გამოყენებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVII თავში, რომელიც საქართველოს კონსტიტუციური წესწყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს განსაზღვრავს. აღნიშნულ თავს მიკუთვნებულ თითქმის ყველა დანაშაულის შემადგენლობაში შევხვდებით ისეთ ტერმინებს, როგორცაა: „უცხო ქვეყნისათვის“, „უცხო ქვეყანასთან“, „უცხოეთის ორგანიზაციასთან“, „უცხო ქვეყნის ან უცხოეთის ორგანიზაციის“, „უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის“. ცალსახაა სადავო ტერმინის („უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“) მსგავსება სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სხვადასხვა შემადგენლობაში გამოყენებულ სიტყვათშეთანხმებებთან, რაც კანონმდებლის რეალურ მიზანსა და მოტივზე მიუთითებს. სადავო ტერმინში გამოყენებული სიტყვათშეთანხმების ნებისმიერი შინაარსობრივად დასრულებული ვარიაცია („უცხოური ძალა“, „უცხოური ძალის ინტერესები“, „უცხოური ძალის... ორგანიზაცია“), ნებისმიერ რაციონალურად მოაზროვნე, ქართული ენის საშუალოდ მცოდნე ადამიანში, ცალსახად ტოვებს ნეგატიურ, საფრთხისა და უნდობლობის განცდას (აქვე, ნებისმიერი „რაციონალურად მოაზროვნე ადამიანისთვის გასაგებობა“, როგორც სამართლებრივი ტერმინის შინაარსის აღქმის სტანდარტი, დამკვიდრებულია საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II. პარ. 21).

სადავო ტერმინის ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავ, სტიგმატიზების პოტენციალის სრულად აღსაქმელად, მნიშვნელოვანია, განვმარტოთ მასში გამოყენებული სიტყვა „ორგანიზაცია“. სადავო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედების სფეროში ექცევა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იდეალისტური მიზნების მისაღწევად იქმნება. ამავე დებულების „ბ“ ქვეპუნქტი ამ ნუსხას ამატებს „მაუწყებელს“, ხოლო „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები — ბეჭდურ და ონლაინ მედიას.

სადავო კანონის თანახმად, ნებისმიერი დასახელებული ორგანიზაცია, თუ მისი შემოსავლის 80%-ზე მეტი (ზემოთ დასახელებული „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ორგანიზაციების შემთხვევაში, არაკომერციული შემოსავლის 80%-ზე მეტი) საქართველოდან/საქართველოს მოქალაქისგან არ არის მიღებული, ავტომატურად იქცევა „უცხო ძალის ინტერესების გამტარად“. საკუთრივ სადავო კანონის დეკლარირებული მიზანია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა (მუხ. 1.1.). აქედან გამომდინარე, უდავოა, რომ კანონის ძალით, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გაერთიანების თავისუფლების საფუძველზე შექმნილი პირთა ნებისმიერი ერთობა, ცხადდება უცხო ძალას დაქვემდებარებულად, მხოლოდ მიღებული დაფინანსების კონკრეტული პროპორციის გამო.

ერთი შეხედვით უწყინარი სიტყვათშეთანხმება, სამართლებრივ ფიქციად აქცევს სრულიად არასწორ და მორალურად გაუმართლებელ დაშვებას, რომ თუ იდეალისტური მიზნებით შექმნილი სამოქალაქო ორგანიზაციის (მათ შორის მედიის) არაკომერციულ შემოსავალში საზღვარგარეთიდან მიღებული წილი 20%-ს აღემატება, ეს ორგანიზაცია „ექვემდებარება უცხოურ გავლენას“ და ხდება „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი“.

იმავდროულად, სადავო კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი სრულად სტერილური და ნეიტრალურია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციითა და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ

ინტერესებთან მიმართებით. სადავო ნორმების მიზნებისთვის, ირელევანტურია, უცხოეთიდან მიღებული დაფინანსება ხორციელდება საქართველოს ინტერესების მხარდამჭერი სტრატეგიული პარტნიორების, თუ ოკუპანტი სახელმწიფოსა და მისი მოკავშირეების მხრიდან.

ამდენად, მოსარჩელე მხარეს მიაჩნია, რომ სადავო ტერმინი, ცალკე აღებული, არის იმგვარი ნორმატიული შინაარსის მატარებელი, რაც მიზნად ისახავს ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის/მედიის ღირსების/საქმიანი რეპუტაციისა და სანდოობის შელახვას. იმავე პოზიციას იზიარებს ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (შემდგომში: „ვენეციის კომისია“).

ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ „კანონის მიხედვით, ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელიც იღებს უცხოურ შემოსავალს, განსაზღვრულია როგორც „უცხოურ გავლენას“ დაქვემდებარებული ორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ სახსრების მიღება ლოგიკურად სულაც არ ნიშნავს გავლენის არსებობას. უფრო მეტიც, კანონში ორგანიზაციები „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლად“ არაერთხელ არიან მოხსენიებულნი მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი დაფინანსების 20%-ზე მეტს უცხოური წყაროებიდან იღებენ. ამ მიდგომის ობიექტურ შედეგს ორგანიზაციების სტიგმატიზაცია და მათი იმ ორგანიზაციებისგან განცალკევება წარმოადგენს, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივი (ანუ ქართველი) დონორებისგან ფინანსდებიან. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ დაფინანსება გავლენის ტოლფასია, უბრალო იარაღივც კი საკმარისი იქნება ორგანიზაციის სტიგმატიზაციისა და ყოველგვარი მტკიცებულების საფუძვლის გარეშე მისთვის ძირის გამოთხრისთვის“. (ვენეციის კომისიის 2024 წლის 24 ივნისის [დასკვნა CDL-AD\(2024\)020](#), პარ. 72).

წარმოდგენილი მოსაზრებების დასაბუთებულობაზე ასევე მიუთითებს ეუთო/ოდირ-ის 2024 წლის 30 მაისის [დასკვნა](#), რომელიც სტიგმატიზაციის გამომწვევად განიხილავს არამხოლოდ სადავო ტერმინს (პარ. 51), არამედ, თავისთავად, რაიმე ტიპის სპეციალური სტატუსით იმ (მედია) ორგანიზაციების გამოცალკევებას, რომლებიც დაფინანსებას უცხო წყაროებიდან იღებდნენ (იხ. პარ. 32).

2.1.3. შეურაცხყოფელი სამართლებრივი პროცესი და მასტიგმატიზირებელი რეესტრი

კანონის მასტიგმატიზირებელი ბუნება სცდება „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის“ დეფინიციას და ამ იარაღის კონკრეტული ორგანიზაციებისთვის მინიჭებას. მასტიგმატიზირებელი იარაღის ნორმატიულ დონეზე გაჩენის პარალელურად, სადავო კანონს შემოაქვს საჯარო ბრენდირების კონცენტრირებული მექანიზმი - „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციათა რეესტრი“ და ამ რეესტრში რეგისტრაციის შეურაცხყოფელი პროცედურა.

სადავო კანონი სხვადასხვა მუხლში იყენებს ორ ტერმინს: „სათანადო ვებგვერდი“ და „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციათა რეესტრი“. ამ ეტაპზე, ბუნდოვანია, რა მიმართება არსებობს „სათანადო ვებგვერდსა“ და „რეესტრს“ შორის. თუმცა, სადავო კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს, რომ „სათანადო ვებგვერდი“ და „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციათა რეესტრი“, შესაძლოა, ერთმანეთისგან განსხვავებული ტექნიკური საშუალებებიც კი იყოს. სამწუხაროდ, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით კანონი სრულიად ბუნდოვანია და ამ ორ რესურსს შორის ტექნიკურ დონეზე ურთიერთმიმართების თაობაზე დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა. თუმცა, ცხადია, რომ კანონის სხვადასხვა სადავო ნორმა ითხოვს ამგვარი რეესტრის არსებობას, რომლის წარმოების (შექმნისა და მართვის) უფლებამოსილებაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აქვს მინდობილი. სადავო კანონით გათვალისწინებული სტიგმატიზაციის ეფექტები თანმდევია კანონის აღსრულების სრული სამართლებრივი პროცესისთვის, ხოლო კანონის არსებული რედაქციის კულმინაციური ეფექტია

„უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის“ შექმნა და მასში ორგანიზაციების დარეგისტრირება. ამ რეესტრის ციფრულად, საჯაროდ განთავსება სხვა არაფერია თუ არა უშუალოდ სადავო ტერმინიდან მომდინარე სტიგმატიზაციის ეფექტების გაძლიერება, მისი საჯაროობის უზრუნველყოფით.

მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ არამხოლოდ ცალკე აღებული რეესტრი, არამედ მის შექმნამდე არსებული სამართლებრივი პროცესიც ხელს უწყობს მოსარჩელეთა სტიგმატიზაციას. კერძოდ, სადავო კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით, ორგანიზაციას ეკისრება ვალდებულება, მატერიალური ფორმით წარადგინოს განცხადება „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე. სხვაგვარად, მოცემული დებულება, ორგანიზაციის ხელმძღვანელს ავალდებულებს, ხელი მოაწეროს წერილობით დოკუმენტს, რომელშიც ორგანიზაცია, რომელსაც იგი წარმოადგენს, „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ იდენტიფიცირდება საკუთარივე „მოთხოვნის“, „ნების“ საფუძველზე. ამავე პუნქტის მეორე წინადადებით კი, ორგანიზაციას ასევე მოეთხოვება წარადგინოს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის შესახებ განაცხადი“, რომელშიც შედის სადავო კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები, მათ შორის, სრული და ამომწურავი ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ, ნებისმიერი წყაროდან მიღებული და გამოყენებული რესურსებისა და მათი მიზნობრიობის თაობაზე. აღნიშნული განაცხადის შევსებით, ორგანიზაცია ირიბად მიუთითებს, რომ მის მიერ იდეალური მიზნების მისაღწევად, საკუთარი ქვეყნისა და თანამოქალაქეების დასახმარებლად განხორციელებული საქმიანობა არის უცხოური ძალის ინტერესების გატარება, მისი რეალიზება. აღნიშნული აზიანებს ორგანიზაციის საქმიან რეპუტაციას და საზოგადოებრივ იმიჯს, ისევე როგორც — ახდენს იმ ლეგიტიმური საქმიანობისა და მიზნების დისკრედიტაციას, რომლის მისაღწევაც იგი შეიქმნა.

2.1.4. იძულებითი რეგისტრაცია

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციას არ აქვს მასტიგმატიზირებელი სტატუსისგან თავდაცვის სამართლებრივი საშუალება, მათ შორის, არც ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი მოთხოვნების დაუმორჩილებლობის გზით. კერძოდ, სადავო კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს იძულებითი რეგისტრაციის შესაძლებლობას. ნიშანდობლივია, რომ სადავო კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი, ისევე როგორც მე-6 მუხლის პირველი პუნქტი — უკუძალით ავრცელებს კანონის მასტიგმატიზირებელ ეფექტებს 2023 წელსა და 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 3 ივნისამდე გაწეულ საქმიანობაზე/შემოსავალზე. სხვაგვარად, კანონი ორგანიზაციას თავიდანვე არ უტოვებს შესაძლებლობას, იზრუნოს დაფინანსების წყაროების შეცვლაზე და ამ ფორმით, თავიდან აიცილოს სადავო კანონის მოქმედებით გამოწვეული უმძიმესი შედეგები. ერთადერთი ასეთი საშუალება მხოლოდ ორგანიზაციის თვითლიკვიდაციაა.

შეჯამება

სადავო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, ამავე ნორმის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ორგანიზაციების აღსაწერად იყენებს მასტიგმატიზირებელ და ორგანიზაციის საქმიანი და საზოგადოებრივი რეპუტაციის შემლახველ ტერმინს — „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“. მასტიგმატიზირებელი ეფექტების გასაძლიერებლად, კანონი ქმნის საჯაროდ, ციფრული ფორმით ხელმისაწვდომ რეესტრს, რომელშიც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა“ იარლიყის ქვეშ წარმოდგენილი იქნება ყველა ის ქართული (მედია)ორგანიზაცია, რომელიც საზღვარგარეთ მოძიებული რესურსების საშუალებით, ცდილობს, საკუთარ წესდებაში გაცხადებული არაკომერციული/იდეალისტური მიზნების მიღწევას — ქვეყნის განვითარებასა და

მოქალაქეების დახმარებას. სადავო კანონი ითვალისწინებს კანონის აღსრულების იმგვარ პროცესს, რომელიც დამატებით ახდენს/ამძაფრებს კანონის მასტიგმატიზირებელ ეფექტებს შეურაცხმყოფელი იარლიყის პოპულარიზაციით („უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის შესახებ განაცხადი“ და განცხადება „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე“) და მთლიანობაში ემსახურება მოსარჩელეთა სოციალური იმიჯის/იდენტობის განადგურებას.

სადავო კანონის არსებულ რედაქციის კულმინაციური ეფექტია სადავო ნორმებით გათვალისწინებული „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრი,“ რომლის მიზანია, შეურაცხმყოფელი იარლიყის პოპულარიზაცია, ხოლო მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი სადავო კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ავრცელებს უკუძალით — კანონის მიღებამდე არსებულ პერიოდზე.

2.2. აღმასრულებელი ხელისუფლების ხელთ არსებული „მონიტორინგის მექანიზმი“ და მისი რეპრესიული ბუნება

სადავო კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის გამოსავლენად ან ამ კანონის რომელიმე მოთხოვნის შესრულების შესამოწმებლად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს შეუძლია, ნებისმიერ დროს განახორციელოს მონიტორინგი ანუ საკითხის სათანადო გამოკვლევა და შესწავლა. მონიტორინგის განხორციელების პროცესში იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებას განსაზღვრავს სადავო კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი. მითითებული ნორმის მიხედვით, სამინისტროს შეუძლია *„კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია“.*

აღსანიშნავია, რომ სადავო კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შესაძლებლობა ასევე გათვალისწინებულია იმავე კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტში (განაცხადის შესწავლის მიზნით), მე-6 მუხლის პირველ პუნქტში (ყოველწლიური ფინანსური დეკლარაციის წარდგენისას) და მე-7 მუხლის პირველ პუნქტში (რეგისტრაციის გაუქმებაზე გადაწყვეტილების მიღებისას). ვინაიდან მექანიზმის/ინსტრუმენტის შინაარსი აბსოლუტურად იდენტურია და განსხვავდება მხოლოდ ინფორმაციის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, დასახელებული სადავო ნორმების შინაარსს ერთიანად მიმოვიხილავთ. ხოლო მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი მონიტორინგის მექანიზმის, მათ შორის, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-4 მუხლის პირველი პუნქტის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა 2023 წელს განხორციელებული საქმიანობისთვის. შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელის ამ ნაწილში გამოყენებულ ტერმინ „მონიტორინგში“, დასახელებულ ხუთივე სადავო ნორმას მოვიაზრებთ.

2.2.1. მონიტორინგის შედეგად მისაღები ინფორმაციის შინაარსობრივი ზღვრის არარსებობა

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მიღმა, სადავო ნორმები არ ადგენს არანაირ შინაარსობრივ შეზღუდვას მისაღები ინფორმაციის კატეგორიის, სენსიტიურობისა და პრივატულობის მიხედვით. იგი სახელმწიფოს პრაქტიკულად ნებისმიერი პერსონალური მონაცემის, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემის მიღების უფლებამოსილებას ანიჭებს. სადავო

ნორმები იწყება სიტყვათშეთანხმებით — „კანონის შესაბამისად“. აღნიშნული ჩანაწერი გამოსათხოვი ინფორმაციის შინაარსობრივი ბარიერის ფუნქციის შესრულებას შეძლებდა იმ შემთხვევაში, თუკი მისი გამოყენება მოხდებოდა კანონქვემდებარე აქტში. თუმცა, აღნიშნული სიტყვათშეთანხმება საკუთრივ კანონშია მოხსენიებული. ამდენად, ამ ტერმინით შექმნილი ბარიერი, ფაქტობრივად, მისი არარსებობის ტოლფასია.

მაგალითად, მოთხოვნას დაქვემდებარებული ინფორმაციის/მონაცემის ამგვარი ფართო შინაარსით ჩამოყალიბება, შესაძლებლობას იძლევა, მოთხოვნილ იქნას, ორგანიზაციების ან/და ორგანიზაციასთან აფილირებული ან/და დაკავშირებული პირების სახელშეკრულებო, ფინანსური ინფორმაცია, პროფესიული და საქმიანობასთან დაკავშირებული მიმოწერაც კი, მათ შორის ისეთი კომუნიკაცია, რომლის გამჟღავნებისგან დაცვა, კონსტიტუციითა და სხვადასხვა ნორმატიული აქტით სპეციალურად არის დაცული (მაგ. ადვოკატის და კლიენტის ურთიერთობასთან დაკავშირებული ინფორმაცია).

2.2.2. არ არსებობს მონიტორინგის სამიზნე ადრესატთა განსაზღვრადი წრე

მონიტორინგის ინსტრუმენტის დამდგენი სადავო ნორმების თანახმად, *„ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია.“* იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებული მონიტორინგის სამიზნე შეიძლება გახდეს ნებისმიერი კომერციული თუ არაკომერციული იურიდიული ან/და ფიზიკური პირი, ისევე როგორც — სახელმწიფო დაწესებულება. ინფორმაციის მოთხოვნის ადრესატები შესაძლოა გახდნენ თავად მოსარჩელე ორგანიზაციები და მათში დასაქმებული პირები, რაც დამატებით ამძიმებს მათ მდგომარეობას, განსაკუთრებით იმ ორგანიზაციებისთვის, ვინც უარს იტყვის შეურაცხმყოფელ და მასტიგმატიზირებელ რეესტრში დარეგისტრირებაზე. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ სადავო ნორმების ადრესატებად კვლავაც რჩებიან ის ორგანიზაციები (ორგანიზაციებთან დაკავშირებული პირები) რომლებიც მიიღებენ გადაწყვეტილებას, საქმიანობა მასტიგმატიზირებელი იარლიყის ქვეშ გააგრძელონ.

2.2.3. „კანონის მასტიგმატიზირებელი ეფექტების მიღწევა“ უპირველეს ყოვლისა

სადავო კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი (განაცხადის შესწავლის მიზანი), მე-6 მუხლის პირველ პუნქტი (ყოველწლიური ფინანსური დეკლარაციის შემოწმების მიზანი), მე-7 მუხლის პირველი პუნქტი (მასტიგმატიზირებელი რეესტრიდან ამოღების სისწორის შემოწმების მიზანი) შეიძლება გამოყენებულ იქნას სადავო კანონის კონკრეტული მოთხოვნების აღსასრულებლად, ხოლო სადავო კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შესაძლებლობა კი — სადავო კანონის აბსოლუტურად ყველა მოთხოვნის აღსასრულებლად.

მონიტორინგის ინსტრუმენტის დამდგენი სადავო ნორმებით, სადავო ნორმატიული აქტის მასტიგმატიზირებელი მოთხოვნების მაქსიმალურად შესრულება, ფაქტობრივად, აბსოლუტურ სიკეთედაა მიჩნეული. გადაწყვეტილების მიმღებ ან/და მონიტორინგის განმახორციელებელ პირს არ მოეთხოვება დარღვევის სიმძიმის ან/და მოთხოვნილი ინფორმაციის სენსიტიურობის, ან თუნდაც მისი მოთხოვნის ფაქტიდან გამომდინარე ნეგატიური ეფექტების შეფასება. აღნიშნულთან ერთად, არსებობს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების არსებითი რისკი. კერძოდ, კანონი არ უშვებს ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმას მართლზომიერი საფუძვლით. მეტიც, სადავო ნორმები საკუთარ თავში იმ ინფორმაციის წარუდგენლობასაც კი გამორიცხავს, რომელიც, შესაძლოა, ადრესატს საერთოდ არც კი ჰქონდეს. სადავო ნორმები, ერთის მხრივ უშვებს შესაბამისი ინფორმაციის მოთხოვნის ფაქტის მართლზომიერების აბსოლუტურ პრეზუმფციას, ხოლო მეორე მხრივ, არ ტოვებს არანაირ სივრცეს

მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისთვის, საჯაროსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაცვის რისკის გარეშე.

2.2.4. ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდების ვალდებულება

მონიტორინგის ინსტრუმენტის დამდგენი სადავო ნორმები მოითხოვენ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდებას, მიუხედავად იმისა, რა მოცულობისაა მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და რა დროა საჭირო მისი მოძიებისა და დამუშავებისთვის. სადავო ნორმები არ ითვალისწინებენ არანაირ საპატიო გარემოებას ან/და სირთულეს. პირი გახდება სადავო ნორმების დამრღვევი იმ მომენტში, როგორც კი უფლებამოსილი პირისთვის ინფორმაციის „დაუყოვნებლივ“ მიწოდებას ვერ შეძლებს.

2.2.5. მონიტორინგის სიხშირე

სადავო კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი მონიტორინგის ჩატარების შესაძლებლობას იძლევა 6 თვეში ერთხელ, თუმცა აღნიშნული ჩანაწერი არ ვრცელდება მოსარჩელე ორგანიზაციებისგან/მათში დასაქმებული ან მასთან დაკავშირებული პირებისგან ინფორმაციის მოთხოვნის მექანიზმის გამოყენებაზე, სხვა ორგანიზაციაში მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში. სხვაგვარად, შესაძლებელია, ერთი ორგანიზაციის, ან/და ერთი ადამიანის მიმართ მონიტორინგის მექანიზმი, ფაქტობრივად განუსაზღვრელი რაოდენობით იქნას გამოყენებული.

საინტერესოა სადავო კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსი, რომელიც მონიტორინგის საფუძვლებს გაწერს და ასეთად განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებას, ან სამინისტროსთვის წარდგენილ წერილობით განცხადებას. დასახელებულიდან პირველი საფუძვლის შემთხვევაში, სადავო კანონი არ ითვალისწინებს მინიმალურ კრიტერიუმებსაც კი, რომელსაც შესაძლოა უფლებამოსილი პირი გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნოს. რაც შეეხება წერილობით განცხადებას, სადავო ნორმა მიუთითებს, რომ იგი უნდა შეიცავდეს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ კონკრეტულ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ სათანადო ინფორმაციას“. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, სადავო ნორმა თუ რომელიმე მომიჯნავე დებულება არ განსაზღვრავს, რა შეიძლება ჩაითვალოს ამგვარ სათანადო ინფორმაციად.

2.2.6. ინფორმაციის წარუდგენლობისათვის ჯარიმების სიხშირე და სიმძიმე

სადავო კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, თუ არ მოხდა უფლებამოსილი პირისთვის ინფორმაციის დაუყოვნებლივი გადაცემა, მას მოჰყვება პასუხისმგებლობა, 5,000 ლარიანი ჯარიმის სახით. მონიტორინგისა და გამოკვლევის ძირითადი ინსტრუმენტის — ინფორმაციის მოთხოვნის მექანიზმის რეპრესიული ბუნებისა და მისი ბოროტად გამოყენების პოტენციალის გათვალისწინებით — ეს მექანიზმი ქმნის ორგანიზაციების, მისი პარტნიორებისა თუ თანამშრომლების დამინებისა და მუდმივ წნეხში ყოფნის ძლიერ ინსტრუმენტს.

მაგალითისთვის, თუ შესაბამისი ადრესატი მიიჩნევს, რომ მისგან ინფორმაციის მოთხოვნა ან/და მოთხოვნილი ინფორმაციის (სრული ან/და ნაწილობრივი) მიწოდება დაარღვევს საკუთარ ან სხვათა უფლებებს და იგი ამ საფუძვლით უარს იტყვის ინფორმაციის მიწოდებაზე, მას დაეკისრება კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. ეს შეიძლება მოხდეს როგორც ინდივიდის, ასევე ორგანიზაციის შემთხვევაში.

მართალია, სასარჩელო მოთხოვნა არ შეეხება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მონიტორინგის მექანიზმის რეპრესიულ მიზნებს, მათ შორის მის უკანონო გამოყენებას, ვერ აბალანსებს სასამართლო კონტროლის ეფექტიანი მექანიზმი. სადავო კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „ამ კანონის საფუძველზე ან/და ამ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გასაჩივრება მის მოქმედებას არ აჩერებს.“ იმის გათვალისწინებით, რომ ჯარიმა შეიძლება დაეკისროს ფიზიკურ და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს, 5000 ლარი საკმაოდ მძიმე სანქციაა, რომლის აღუსრულებლობამ, შესაძლოა, ფიზიკური პირების მიმართ იძულებითი აღსრულების პროცესის დაწყება გამოიწვიოს.

დაბოლოს, 5,000 ლარიანი ჯარიმა, განსხვავებით ორგანიზაციული ჯარიმებისა (იხ. ქვეთავი 2.3.), შესაძლებელია პირს ფაქტობრივად შეუზღუდავი რაოდენობითა და სიხშირით დაეკისროს. სადავო კანონი არ შეიცავს არავითარ მითითებას იმის შესახებ, დროის რა მონაკვეთში და რა სიხშირით შეუძლია იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილ პირს პასუხისმგებლობა დააკისროს სადავო ნორმების ადრესატს.

2.3. ჯარიმები და ორგანიზაციის არაპირდაპირი ლიკვიდაცია

ორგანიზაცია, რომელიც უარს იტყვის ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავ რეესტრში რეგისტრაციაზე, დაჯარიმდება 25 000 ლარით (სადავო კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი) და მოხდება მისი იძულებითი რეგისტრაცია. იძულებითი რეგისტრაციის შემდეგ, ორგანიზაცია თუ „ნებაყოფლობით“ არ წარადგენს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის შესახებ განაცხადს“, მას დამატებით დაეკისრება ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით (სადავო კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი), ხოლო საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ამგვარი განაცხადის საკუთარი ნებით წარუდგენლობა, ყოველ თვეს, დამატებით ჯარიმას დააკისრებს, 20 000 ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე მედია(ორგანიზაციები) საგარეო დახმარებას იღებენ პროექტების სახით. მიღებული რესურსების გამოყენება მათ მხოლოდ პროექტული მიზნების მისაღწევად, წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტით შეუძლიათ. სხვაგვარად, მოსარჩელე ორგანიზაციას, ჯარიმის დასაფარად საკმარისი თანხა ანგარიშზე რომც ჰქონდეს, იგი ვერ შეძლებს მის გამოყენებას ჯარიმის გადასახდელად. მეტიც, საპროექტო ხელშეკრულებით იკრძალება მიღებული ფინანსური სახსრების საჯაროსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომისთვის — ჯარიმის გადასახდელად გამოყენება.

ამასთანავე, ნაკლებ სავარაუდოა, რომელიმე ორგანიზაციამ შეძლოს ცხადად მაღალი ჯარიმების დაფარვა გრძელვადიან პერიოდში. ამასთან, ჯარიმებისგან თავის არიდების საშუალებას არ წარმოადგენს მასტიგმატიზირებელი იარლიყის სახელმწიფოს მხრიდან მინიჭება თუ ეს არ განხორციელდა თავად ორგანიზაციის მიერ, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სადავო ნორმების რეალურ მიზანს — ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დამცირებას, მათი სოციალური იდენტობის სრულ მორღვევასა და განადგურებას. რაც შეეხება ჯარიმების აღსრულებას, სადავო კანონი სპეციალურ წესს არ განსაზღვრავს. სადავო კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი აკეთებს ზოგად მითითებას, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას, სამართალწარმოება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და სხვა სათანადო საკანონმდებლო აქტების მიხედვით.

შესაბამისად, სადავო ნორმებით გათვალისწინებული ჯარიმების მიმართ გამოიყენება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი წესი. კერძოდ, კოდექსის 291-ე მუხლის

პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდისთვის დადგენილი 30 დღიანი ვადის უშედეგოდ გასვლა არის იძულებითი აღსრულების წარმოების დაწყების საფუძველი, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ამ მომენტიდან, მოქმედებას იწყებს იძულებითი აღსრულების წესები, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. პირის აქტივებზე/ქონებაზე იძულებითი აღსრულების მიქცევის ღონისძიებებზე კანონი ითვალისწინებს როგორც მოძრავი და უძრავი ქონების (IX და XI თავები), აგრეთვე პირის საბანკო ანგარიშების (19² მუხლის მე-3 პუნქტი) დაყადაღებას, აგრეთვე იძულებით გადახდევინებას, მათ შორის საბანკო ანგარიშებიდან და სხვა აქტივებიდან (მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).

გარდა ამისა, მოსარჩელები წარმოადგენენ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სუბიექტებს. მათ მიერ სადავო კანონით დაკისრებული სახდელების გადაუხდელობის შემთხვევაში, იმოქმედებს ამ კანონით გათვალისწინებული გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცედურა. პირის (გადახდისუუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა არის ამ პროცესის დაწყების საფუძველი. პირი გადახდისუუნაროა, თუ იგი ვერ ფარავს ვადამოსულ ვალდებულებებს (მე-7 მუხლის პირველი პუნქტი). გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის მიზნებისთვის, საპირისპიროს დამტკიცებამდე, ივარაუდება, რომ მოვალე გადახდისუუნაროა, მათ შორის, თუ არსებობს შემდეგი გარემოება: „სავარაუდოა, რომ მოვალე ვადამოსულ ვალდებულებებს შემდგომი 30 დღის განმავლობაში ვერ დაფარავს, რადგან მისი ვადამოსული ვალდებულებების ჯამი მთლიანი ლიკვიდური აქტივების ჯამს არანაკლებ 20 პროცენტით აღემატება“. (მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი).

მოსარჩელების მიერ სადავო კანონის საფუძველზე დაკისრებული ჯარიმების გადახდის შეუძლებლობა, აგრეთვე იძულებითი აღსრულების გზით სახელმწიფოს დაკმაყოფილების მიზნის მიუღწევლობა, გამოიწვევს ამ ორგანიზაციების წინააღმდეგ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნას და თანმდევ სამართლებრივ შედეგებს.

გადახდისუუნარობის განცხადების წარმოებაში მიღებისთანავე, სასამართლო იწყებს გადახდისუუნარობის მმართველის/ზედამხედველის შერჩევის პროცესს (47-ე მუხლის მე-3 პუნქტი). იმ შემთხვევაში, თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს და მოვალე გადახდისუუნაროა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი პირია, სასამართლო გამოიტანს განჩინებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე. აღნიშნულს მოჰყვება მმართველის დანიშვნა, რომელიც სარგებლობს მთელი რიგი შემზღვეველი უფლებამოსილებებით, მათ შორის გადახდისუუნარობის სუბიექტის ქონების განკარგვისა და გარიგებების დადების თვალსაზრისით (50-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

შესაბამისად, სადავო ნორმების მოქმედების პირობებში, მოსარჩელები დგებიან იმგვარი მოცემულობის წინაშე, როდესაც სადავო კანონის საფუძველზე დაკისრებული ჯარიმის ნებაყოფლობით აღსრულებლობის შემთხვევაში, მათ მიმართ დაიწყება იძულებითი აღსრულების პროცესი, მათ საკუთრებაში არსებული აქტივები ექვემდებარება დაყადაღებას, ხოლო გადახდისუუნარობის პროცესის გახსნის შემთხვევაში — ხდება მათ საკუთრებაში არსებული ყველა აქტივის რეალიზაცია, გაკოტრება და პრაქტიკულ დონეზე საქმიანობის შეწყვეტა. ამდენად, სახეზეა სადავო ნორმებიდან მიმდინარე, ორგანიზაციათა ლიკვიდაციის არაპირდაპირი სამართლებრივი შედეგი.

2.4. შეურაცხყოფელი იარაღის ქვეშ საქმიანობის გაგრძელება არ ანეიტრალებს რისკებს

შეურაცხყოფელი და მასტიგმატიზირებელი იარაღის ქვეშ საქმიანობის გაგრძელება არ ანეიტრალებს ორგანიზაციის საქმიანობის თავისუფლების შეზღუდვის სხვა რისკებს, კერძოდ სადავო კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგის განხორციელების, დეტალური დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისა თუ მესამე პირების დაჯარიმების რისკს. გარდა იმისა, რომ სტიგმის გამო, ფართო საზოგადოებაში ორგანიზაციის მიმართ ნდობა იკლებს, მისი საქმიანობის თავისუფლებაზე სხვაგვარი მსუსხავი ეფექტიც აქვს, მაგალითად პროფესიულ წრეებშიც ექვექვემ დგება ორგანიზაციის მიმართ სანდოობა.

სარჩელის ამ ნაწილში განხილული რეპრესიული მექანიზმების სიმრავლე, სიმძიმე და ადრესატებზე მათი გავლენა, უცილობლად შეასრულებს (მედია) ორგანიზაციის დაშინების ფუნქციას, რამაც, შესაძლოა, დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირების კრიტიკულად მნიშვნელოვანი სფეროების საზოგადოებრივი კონტროლის მიღმა დატოვება ან/და ამ კონტროლის თვისებრივი შესუსტება გამოიწვიოს.

2.5. საერთო სასამართლოსთვის მიმართვის უფლების ილუზორულობა

მიუხედავად იმისა, რომ სადავო კანონიდან გამომდინარე ბუნდოვანია ორგანიზაციის რეგისტრაციისა თუ მის მიმართ მონიტორინგის განხორციელების პროცესში რა სახის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები იქნება მიღებული, წესით, იგი უშვებს ამ აქტის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. სულ მცირე, ამგვარ ზედამხედველობას ექსპლიციტურად არ გამორიცხავს.

აღნიშნულის მიუხედავად, რთულია იმის წარმოდგენა, რომ ეს მექანიზმი, თუნდაც მინიმალური დოზით, მოსარჩელე ორგანიზაციებისთვის მათი ძირითადი უფლებების დაცვის შესაძლებლობას ქმნიდეს. სადავო კანონით გათვალისწინებული რეპრესიის თითოეული მექანიზმი, სამომავლოდ, პრეზუმფციულად კონსტიტუციურ კანონს/სამართლებრივ ნორმებს დაეფუძნება. სასამართლოს კონტროლი ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც ექვექვეშაა აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული უფლების დამრღვევი ქმედების კანონიერება. შესაბამისად, მოსარჩელე ორგანიზაციების მხრიდან, პრეზუმირებული კონსტიტუციური ნორმების მიმართ დაუმორჩილებლობის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებზე სასამართლოს კონტროლის განხორციელება, ვერ ჩაითვლება უფლების დაცვის ეფექტიან მექანიზმად.

გარდა ამისა, სადავო კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ ამ კანონის, ან მის საფუძველზე ჯერ კიდევ მისაღები კანონქვემდებარე აქტების შედეგად მიღებული არც ერთი აქტის გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას. შესაბამისად, აღნიშნული აქტის სასამართლოში გასაჩივრებას, არათუ შედეგობრივი თვალსაზრისით არ აქვს უფლების დაცვის რესურსი, მას დროებითაც კი არ შესწევს ძალა — ორგანიზაციისთვის დამცავი ეფექტი იქონიოს.

2.6. დაკისრებული ვალდებულების ორგანიზაციული ტვირთი

სადავო კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ორგანიზაციისგან ითხოვს, მისი ყველა შემოსავლისა თუ ხარჯის და მათი მიზნობრიობის დეკლარირებას. ზოგადი წესის თანახმად, მსგავსი ტვირთის მქონე აქტივობები კონკრეტული თანხის ოდენობასთან არის დაკავშირებული. აღნიშნულის

საპირისპიროდ, მითითებული ნორმები იყენებს ტერმინს „ნებისმიერი“, რაც საკუთარ თავში მოიცავს ფაქტობრივად ყველა ოპერაციულ აქტივობას, რომელიც შემოსავლის მიღებას ან მის გამოყენებას უკავშირდება. ფაქტობრივად, სადავო კანონი ქმნის ალტერნატიულ ბუღალტრულ ანგარიშგებას.

მაგალითისთვის, ერთ-ერთმა მოსარჩელემ, ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“, 2023 წლის განმავლობაში, 15 000-მდე საბანკო გადარიცხვა შეასრულა, რათა გამოეყენებინა სხვადასხვა საქმიანობის პროგრამული თუ ოპერაციული ნაწილი. სადავო კანონი, თითოეული ამ ტრანზაქციის შესახებ ინფორმაციის წარდგენას ითხოვს – რაც მას ალტერნატიულ ბუღალტრულ წარმოებად აქცევს, იმ განსხვავებით, რომ როგორც წესი, ბუღალტრულ წარმოებას აქვს შესაბამისი ტექნიკური სტანდარტები და არსებობს აღიარებული პროგრამული უზრუნველყოფები, რომლებიც ამ პროცესს თვისობრივად ამარტივებს.

სადავო ნორმები ქმნის სრულიად ალტერნატიულ, მძიმე ორგანიზაციულ ტვირთს, რაც, ზოგადად, რუსული სტილის რეპრესიული კანონების ერთ-ერთი ფუნდამენტური მახასიათებელია. სადავო კანონის ეს მიდგომა, ერთიორად ზრდის ხარვეზული დეკლარაციის წარდგენის, გამოუსწორებელი ხარვეზის დადგენის ან/და ხარვეზის ინსტიტუტის ბოროტად გამოყენების რისკს, რაც, თავის მხრივ, სადავო კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. ეს უკანასკნელი კი, ააქტიურებს სადავო კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ, 20 000 ლარიანი ყოველთვიური ჯარიმის ციკლს.

2.7. უცხოური შემოსავლის 20% და მისი მიმართება მედია (ორგანიზაციის) სრულ შემოსავლებთან

მოსარჩელებს, „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი“ ორგანიზაციის მადისკრედიტირებელი იარლიყი ენიჭება მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ საერთო შემოსავლის 20%-ზე მეტს უცხოური წყაროდან იღებენ. გარდა იმისა, რომ შემოსავლის ამ პროპორციის გამო, ორგანიზაციას და მის სრულ საქმიანობას კანონი მასტიგმატიზირებელი ტერმინისა და გავლენის (ეფექტის) ქვეშ აქცევს, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ნებისმიერი ასეთი ორგანიზაცია ვალდებულია, დეკლარაცია წარადგინოს არა მხოლოდ უცხოური წყაროდან მიღებული დაფინანსების, არამედ სრული შემოსავლის (100%), აგრეთვე ამ შემოსავლის ხარჯვის ოდენობისა და მიზნობრიობის თაობაზე.

სადავო კანონის ლოგიკით, იმ შემთხვევაში, თუ უცხოური დაფინანსების წილი ორგანიზაციის შემოსავლის 20%-ს არ აღემატება, სახელმწიფოს საერთოდ არ აქვს ინტერესი, შეამოწმოს ორგანიზაციის შემოსავალი როგორც უცხოური, ასევე სხვა ტიპის შემოსავლის ნაწილში, რაც, სულ მცირე, სადავო ნორმების დასაბუთების დეფექტურ ბუნებასა და ალოგიკურობის მასშტაბს კიდევ უფრო თვალნათელს ხდის.

აღნიშნული ასპექტი განსაკუთრებით მძიმედ და მტკივნეულად ვლინდება მედიაორგანიზაციებთან მიმართებით (გათვალისწინებული სადავო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით). კერძოდ, ა(ა)იპ-ებისგან განსხვავებით, რომელთა 20% წილი მთლიანი შემოსავლიდან ითვლება, მედიაორგანიზაციები მასტიგმატიზირებელ იარლიყს კიდევ უფრო დრაკონული წესით „ინიჭებენ“. კერძოდ, მათ ამ სტატუსის ტარება მოუწევთ იმ შემთხვევაში, თუ მათი არა სრული შემოსავლის, არამედ მხოლოდ არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტს იღებენ უცხოური წყაროდან. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მოსარჩელე ორგანიზაციათა ამ კატეგორიაში ხვდებიან არა მხოლოდ ა(ა)იპ-ის ფორმით რეგისტრირებული მედიაორგანიზაციები, არამედ, უმეტესად, კომერციული იურიდიული პირის ფორმით მოქმედი ორგანიზაციები. ბუნებრივია, მათი არაკომერციული შემოსავალი, კომერციულთან შედარებით, ისედაც მწირია და საგრძნობლად დაბალი პროპორციის. შესაბამისად,

შესაძლოა შეიქმნას რეალობა, როდესაც რამდენიმე მილიონიანი ბრუნვის მქონე მედიაორგანიზაცია, სულ რაღაც 10 000 ლარის, ან კიდევ უფრო ნაკლები ოდენობით შემოსავლის გამო (რომელიც მისი არაკომერციული შემოსავლის 20%-ს აღემატება) მოექცეს მასტიგმატიზირებელი იარლიყის ქვეშ.

გარდა ამისა, სადავო კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც დეკლარაციის ფარგლებში წარსადგენ ინფორმაციას განსაზღვრავს, მსგავსი ორგანიზაციების მიმართ არავითარ სპეციალურ, საგამონაკლისო დათქმას არ ითვალისწინებს. ამ შემთხვევაშიც, ორგანიზაციები ვალდებული არიან, დაადეკლარებონ „წინა კალენდარული წლის განმავლობაში დახარჯული ნებისმიერი ფულადი თანხის ოდენობა და მიზანი“, მიუხედავად იმისა, ეს შემოსავალი კომერციული იყო თუ არა. ამგვარად, სადავო ნორმა გულისხმობს, რომ შესაძლოა, ორგანიზაცია, მის მიერ მიღებული სრული შემოსავლის მხოლოდ 1%-ის გამო არა მხოლოდ მოექცეს მადისკრედიტირებელი იარლიყის ქვეშ, არამედ, მოუწიოს ინფორმაციის სრულად წარდგენა, მათ შორის, კომერციული შემოსავლისა და ხარჯვის თაობაზე, რაც ამ სარჩელის 2.6. ქვეთავში აღწერილ მძიმე ორგანიზაციულ ტვირთს უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ სადავო ნორმები იყენებენ ტერმინს „არაკომერციული შემოსავლის 20%“, თუმცა არ ადგენენ „არაკომერციული შემოსავლის“ შინაარსს (დეფინიციას). შესაბამისად, სადავო კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებში მოქცეულ ორგანიზაციებთან მიმართებით, სადავო ნორმები იძლევიან კანონით უფლების შემზღვეველი სტიგმისა და მონიტორინგის რეპრესიული მექანიზმის ბოროტად გამოყენების, მათ შორის, ამავე სადავო კანონის მე-9 მუხლის 1-4 პუნქტების საფუძველზე ჯარიმების დაკისრების შესაძლებლობას.

2.8. სადავო ნორმებიდან მომდინარე დისკრიმინაცია და დისკრიმინაციული ეფექტები

არაერთხელ აღინიშნა, რომ სადავო ნორმები მოსარჩელე ორგანიზაციებს ავტომატურად ანიჭებს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი“ ორგანიზაციის მადისკრედიტირებელ იარლიყს, თუკი ორგანიზაციას საერთო შემოსავლის 20%-ზე მეტი უცხოური წყაროდან ფიქსირდება. შესაბამისად, სადავო კანონი ემყარება უსაფუძვლო მტკიცებას, რომ დაფინანსების კონკრეტული წილის უცხოური წყაროდან მიღების შემთხვევაში, ორგანიზაციის პირველადი დანიშნულება უცხო ძალის ინტერესების გატარებაა. სადავო კანონი გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ უცხოური დაფინანსების წყაროსა და საქართველოს სახელმწიფო ინტერესები ერთმანეთთან თანხვედრაში იყოს. შესაბამისად, მათი საქმიანობა აღიქმება ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ. მეორე მხრივ, ორგანიზაციები, რომლებიც შესაძლოა საერთო შემოსავლის 20%-ს არ იღებენ უცხოური წყაროდან, არ ექვემდებარებიან ზემოაღნიშნული სტიგმის ქვეშ საქმიანობას. ამრიგად, მთავარი პრობლემა, რომელიც შედეგად აყენებს დისკრიმინაციულ მოპყრობას, არის არასწორი კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება, რამდენად წარმოადგენს ესა თუ ის ორგანიზაცია უცხოური ძალის ინტერესების გამტარს.

ამ კრიტერიუმის პრობლემურობის წარმოჩენა რამდენიმე კუთხითაა შესაძლებელი. პირველ რიგში, სადავო კანონი ერთმანეთისგან არ ასხვავებს უცხოური წყაროს ტიპებს, არ არსებობს რაიმე კრიტერიუმი, რომელიც მინიმალურ დონეზე განარჩევდა ერთმანეთისგან ერთი მხრივ ორგანიზაციებს, რომლებიც დაფინანსებას იღებენ ისეთი წყაროსგან, რომელიც გონივრული დაშვების დონეზე შეიძლება ატარებდეს საქართველოს სახელმწიფოს საწინააღმდეგო ინტერესებს, მეორე მხრივ კი ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც დაფინანსებას იღებენ ისეთი წყაროსგან, რომელზეც ამგვარი ეჭვის არანაირი რაციონალური საფუძველი არ არსებობს. უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის, ისეთი ორგანიზაცია შეიძლება გამოცხადდეს უცხოური ძალის ინტერესების გამტარად, რომელიც დაფინანსებას იღებს საერთაშორისო ორგანიზაციიდან, რომელში გაწევრებაც ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც კონსტიტუციაშივეა ასახული. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ

სადავო კანონი არანაირ კრიტერიუმს არ ადგენს უცხოური დაფინანსების წყაროსთან მიმართებით, შედეგად ვიღებთ სიტუაციას, როდესაც ორგანიზაცია ცხადდება ქვეყნის ინტერესების დამაზიანებლად იმის გამო, რომ დაფინანსებას იღებს საერთაშორისო კავშირიდან და მასში ქვეყნის გაწევრების პროცესს (კონსტიტუციით დასახულ უმთავრეს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტს) უწყობს ხელს.

მეორე მხრივ, სადავო კანონი არ უშვებს იმ შესაძლებლობას, რომ ორგანიზაცია, რომელიც შესაძლოა საერთო შემოსავლის 20%-ს არ იღებს უცხოური წყაროდან ან თუნდაც საერთოდ არ ფინანსდება უცხოური წყაროდან, ეწეოდეს საქართველოს სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო საქმიანობას. ამრიგად, აშკარაა, რომ სახელმწიფო იყენებს არასწორ კრიტერიუმს უცხო ძალის ინტერესების გამტარი ორგანიზაციის იდენტიფიცირებისთვის. ამ ტიპის ორგანიზაციების იდენტიფიცირება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც სახელმწიფოს მიერ მინიმალურ დონეზე მაინც ფასდება უცხო ძალისგან მომდინარე საფრთხის რეალურობა და არა ფორმალური, შინაარსისგან სრულად დაცლილი კრიტერიუმების საფუძველზე — ქართული სამოქალაქო ორგანიზაციების სტიგმატიზება და, შედეგად, მათი დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენება ხორციელდება.

სადავო ნორმების დისკრიმინაციულ ეფექტებზე მსჯელობისას, არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მხედველობაშია მისაღები. ქართული სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობის მნიშვნელოვანი წილი ეთმობა ქვეყანაში არსებული მარგინალიზებული სოციალური ჯგუფების, უმცირესობათა უფლებების დაცვასა და გაუმჯობესებას. ასეთი სოციალური ჯგუფების ინტერესების დაცვა უმეტესწილად სწორედ სამოქალაქო ორგანიზაციების ეფექტიან საქმიანობაზეა დამოკიდებული, რადგან, როგორც წესი, პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან ნაკლებად შეინიშნება ენთუზიაზმი მათი უფლებების დასაცავად. მეტიც, ხშირ შემთხვევაში, ეს საკითხი შესაძლოა ელექტორალურად მომგებიან ქცევად არ იქნას აღქმული. შესაბამისად, ისეთ პირობებში, როდესაც ქვეყანაში მწვავედ დგას მარგინალიზებული სოციალური ჯგუფების მძიმე უფლებრივი მდგომარეობის პრობლემა და, ამასთანავე, არ იკვეთება აღნიშნულ პრობლემაზე განგრძობად და თანმიმდევრულად მომუშავე პოლიტიკური ან სხვა სოციალური ჯგუფების ინტერესი, გარდა სამოქალაქო ორგანიზაციებისა, სადავო კანონი ისედაც არასახარბიელო უფლებრივ მდგომარეობაში მყოფ პირებს უფრო მეტად დისკრიმინაციულ პირობებში აყენებს.

დამატებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სადავო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად არ მიიჩნევს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერაა დაფუძნებული, ასევე „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საქართველოს ეროვნულ სპორტულ ფედერაციას ან „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სისხლის დაწესებულებას წარმოადგენს. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ შემთხვევებთან მიმართებით, სადავო კანონი პრობლემურად არ მიიჩნევს უცხოური დაფინანსების მიღებას, რითიც აღიარებს, რომ უცხოური დაფინანსების მიღება, თავისთავად, არ მეტყველებს დამფინანსებლის ინტერესების გატარებაზე საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, თუკი ეს დაშვება მართებულია დასახელებულ შემთხვევებში, გაუგებარია, რატომ მიიჩნევა ავტომატურ მოცემულობად, რომ მოსარჩელე ქართული ორგანიზაციების მიერ უცხოური დაფინანსების მიღების შემთხვევაში, ისინი ავტომატურად საკუთარი სახელმწიფოს საწინააღმდეგო ინტერესებს გაატარებენ. ამდენად, აშკარაა, რომ ამ ნაწილშიც იკვეთება სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმების მოქმედება შედეგად იწვევს მოსარჩელე ორგანიზაციებისა და მათი ბენეფიციარების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას. სადავო ნორმებს დისკრიმინაციული ეფექტები/შედეგები აქვთ.

2.9. კანონის გავრცელება წარსულზე

სადავო კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი, მასტიგმატიზირებელ რეესტრში რეგისტრაციის ზოგად პერიოდად ამ კანონითვე განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების მომდევნო კალენდარული წლის იანვარს უთითებს. უკვე რეგისტრირებული (მედია) ორგანიზაციებისთვის კი, ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, იგივე პერიოდს (მომდევნო კალენდარული წლის იანვარს) უკავშირებს საფინანსო დეკლარაციების წარდგენის ვალდებულებას.

ზოგადი წესის თანახმად, მოსარჩელეებს, ღირსების შემლახავ რეესტრში რეგისტრაცია დაევალებოდათ 2025 წლის იანვარში, თუმცა სადავო კანონმა გაითვალისწინა ორგანიზაციათა რეგისტრაციის განსაკუთრებული წესი. კერძოდ, 2024 წლის აგვისტოს დასაწყისში, მოსარჩელეებს მოსთხოვეს მასტიგმატიზირებელ რეესტრში რეგისტრაციას, სადავო კანონის მიღების წინა კალენდარულ წელს (2023 წელს) მოპოვებული დაფინანსებისა და საქმიანობის გამო.

სადავო კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ეს მოთხოვნა არსებითად ცვლის ორგანიზაციების წარსულში შესრულებული მოქმედებების სამართლებრივ სტატუსს, რითაც სამართალსუბიექტს ართმევს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას. კერძოდ, ახლადმიღებული კანონი წარსულში (კანონის მიღებამდე) განხორციელებული საქმიანობის გამო აწმყოში ითხოვს მასტიგმატიზირებელი და საქმიანი რეპუტაციის შემლახავ რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულებების შესრულებას, ხოლო შეუსრულებლობისთვის — არაპროპორციულ სახდელებს (ჯარიმებს) ითვალისწინებს.

მოსარჩელე მხარეს მიაჩნია, რომ ამგვარი რეგულირება ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთ საბაზისო პრინციპებს, როგორცაა: სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი და ნდობის პრინციპი. ნიშანდობლივია, რომ სადავო კანონის განმარტებით ბარათში, მისი „უკუდალით გამოყენების“ საჭიროებაზე არაფერია ნახსენები, ხოლო განმარტებით ბარათში დეკლარირებულ ზოგად მიზანთან ლოგიკურ კავშირს, როგორც აღვნიშნეთ, თავად კანონივე გამორიცხავს. შესაბამისად, სადავო კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი დამატებით ცხადყოფს სადავო კანონის რეალურ მიზანს (იხ. ქვეთავი 3.3.).

3. სადავო ნორმების გაცხადებული და დაფარული ლეგიტიმური მიზანი: სადავო ნორმები არ ემსახურება ღირებული საჯარო ლეგიტიმური მიზნის მიღწევას

3.1. ფორმალურად გაცხადებული საჯარო ლეგიტიმური მიზანი

კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, კანონის ერთადერთი მიზანი „გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა“. არც პირდაპირ და არც ირიბად, განმარტებითი ბარათი არ მიუთითებს არცერთ სხვა ლეგიტიმურ ინტერესზე. ნიშანდობლივია ისიც, რომ განმარტებითი ბარათისვე მიხედვით, კანონპროექტის ავტორებს, კანონპროექტის მომზადების პროცესში, არ გაუვლიათ კონსულტაცია არცერთ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებასთან, ექსპერტთან ან/და სამუშაო ჯგუფთან. განმარტებით ბარათს არ ერთვის არცერთი ექსპერტული დოკუმენტი, სახელმწიფო უწყების ანგარიში ან რაიმე სხვა მტკიცებულება/გარემოება, რომელიც მიუთითებს, რომ კანონპროექტის ინიციატორ თუ მის მხარდამჭერ პარლამენტის წევრებს „გამჭვირვალობის უზრუნველყოფის“ მეშვეობით,

რომელიმე ღირებული კონსტიტუციური სიკეთის/ლეგიტიმური მიზნის დაცვის მცდელობა, ან თუნდაც „გამჭვირვალობის უზრუნველყოფის“ საჭიროება ჰქონდათ.

მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ „გამჭვირვალობის უზრუნველყოფა“ არ ყოფილა, არ არის და ვერ იქნება სადავო ნორმების საჯარო ლეგიტიმური მიზანი.

3.2. „გამჭვირვალობის უზრუნველყოფა“ ვერ იქნება სადავო ნორმების საჯარო ლეგიტიმური მიზანი

სადავო კანონით რეგულირდება კერძო სამართლის საფუძველზე დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობა და მოთხოვნილია იმ ინფორმაციის საჯაროობა, რომელიც აკუმულირებულია კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში. ამ ინფორმაციის გამჟღავნებისგან, მათ შორის, საჯაროობისგან დაცვა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლით (მათ შორის, კონსტიტუციის მე-15, მე-18, მე-19, 22-ე და 26-ე მუხლებით) და მათი გასაჯაროების მოთხოვნა წარმოადგენს უფლების შეზღუდვას. სხვაგვარად, მოსარჩელე ორგანიზაციებთან მიმართებით, გამჭვირვალობის მოთხოვნა თვითმიზნური ვერ იქნება, ვინაიდან არ არსებობს კონსტიტუციის დებულება, რომელიც მოსარჩელეებს გამჭვირვალობას ავალდებულებს. თუმცა, ამ ორგანიზაციათა გამჭვირვალობა შეიძლება იყოს ინსტრუმენტი, სხვა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. აღნიშნული აყალიბებს კერძო პირებისთვის/ინდივიდებისთვის გამჭვირვალობის მოთხოვნის ინსტრუმენტულ ბუნებას, რაც ნიშნავს რომ მოსარჩელეთათვის ინფორმაციის გასაჯაროების ან მესამე პირებისთვის გადაცემის დავალება უნდა ემსახურებოდეს ღირებული საჯარო ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, ხოლო გამჭვირვალობა, ამ თვალსაზრისით, მხოლოდ ინსტრუმენტია. არცერთი ამგვარი ინტერესი კანონში დასახელებული არ არის და არც მისგან გამომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ იმავეს მიუთითებს *ვენეციის კომისია სადავო კანონზე მომზადებულ დასკვნაში*. კომისია, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოზე, მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოზე, ისევე როგორც მის მიერ ადრე მომზადებულ დასკვნებზე მითითებით, აღნიშნავს, რომ გამჭვირვალობა ვერ იქნება თვითმიზანი *CDL-AD(2024)020*, პარ. 61-65.

წარმოდგენილი არგუმენტაცია ცხადყოფს, რომ როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ასევე საერთაშორისო პრეცედენტული სამართალი სამიზნე ობიექტებისგან გამჭვირვალობას თვითმიზნურ ლეგიტიმურ მიზნად არ ხედავს და ვერც დაინახავს. გამჭვირვალობა უნდა იყოს კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ინსტრუმენტი და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, გამჭვირვალობის კონკრეტული მოთხოვნების თანაზომიერების პრინციპის დანარჩენი ელემენტებით შეფასება. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმები არ ემსახურება ღირებულ საჯარო ლეგიტიმურ მიზანს.

მიუხედავად ამისა, განსახილველი საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, გვსურს გავაგრძელოთ მსჯელობა და დავასაბუთოთ, რომ სადავო ნორმები, სამართლებრივი თვალსაზრისით არამხოლოდ თვითმიზნურია, არამედ მათი რეალური ამოცანა შენიღბულია „გამჭვირვალობის“ კონცეფციის საფარქვეშ, ხოლო ამ რეალური ამოცანების მიღწევამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი და არსებითი ზიანიც კი მიაყენოს სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპებს, ისევე როგორც, ამ პრინციპების რეალიზების მიზნით კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

3.3. კანონის რეალური მიზნის მიმთითებელი ნორმატიული ინდიკატორები

კანონმდებლის მიერ, კანონის რეალური მიზნის შეგნებულად დაფარვა ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს. კერძოდ, სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი, ნორმათა სიცხადესთან

ერთად, მათ ნამდვილობასაც მოითხოვს, რაც უპირველესად გულისხმობს, რომ კანონის (სამართლის) ადრესატისთვის აღქმადი უნდა იყოს ნორმის ნამდვილი მიზანი. დაუშვებელია, კანონმდებელმა შენიღბოს მისი ჭეშმარიტი განზრახვა.

მოცემული სარჩელის მე-2 თავში წარმოდგენილია დასაბუთება, თუ როგორ და რა კრიტერიუმზე დაყრდნობით განსაზღვრავს სადავო კანონი პირთა წრეს, რომელსაც ანიჭებს ღირსების შემლახავ იარლიყს. იარლიყის პოპულარიზაციისთვის ქმნის ღირსების შემლახავ რეესტრს და ორგანიზაციებისგან მოითხოვს ამ რეესტრში დარეგისტრირებას. მიუხედავად იმისა, რეგისტრირდება თუ არა ორგანიზაცია რეესტრში, სადავო კანონი ყველა შემთხვევაში აღმასრულებელ ხელისუფლებას ანიჭებს მისი რეპრესირების ინსტრუმენტს, ე.წ. მონიტორინგის მექანიზმის სახით. სადავო კანონს შემოაქვს სანიმუშოდ მაღალი ოდენობის ჯარიმები და აღმასრულებელ ხელისუფლებას განგრძობით რეჟიმში ჯარიმების დაკისრების უფლებამოსილებით აღჭურავს, რაც გულისხმობს პასუხისმგებლობის დაკისრებას როგორც ღირსების შემლახველ რეესტრში იძულებით დარეგისტრირებული ორგანიზაციებისთვის, ასევე ფიზიკური პირებისთვის და ნებისმიერი სხვა პირისთვის, რომელიც მუშაობს, თანამშრომლობს ან სხვაგვარადაა აფილირებული სამიზნე ორგანიზაციასთან. აღნიშნული ელემენტი, კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებათა თვითნებური შეზღუდვის ცხად ინდიკატორთა მხოლოდ არასრული ჩამონათვალია.

იმ დაშვებითაც კი, რომ სადავო კანონის რეალური მიზანი გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა, გაურკვეველი რჩება, რატომ დასჭირდა საქართველოს პარლამენტს, ამ მიზნის მისაღწევად ცხადად გადაჭარბებული ზომების მიღება და ამ სარჩელის 3.4. ქვეთავში აღწერილი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მდელვარების (მეორედ) გამოწვევა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, მაშინ როდესაც, იგივე მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყო ყოველგვარი ნეგატიური ეფექტის გარეშე, განსხვავებული საკანონმდებლო ტექნიკის გამოყენებით (იგულისხმება საქმიანობისა და ფინანსების თაობაზე ინფორმაციის საჯაროობის მოთხოვნის სხვა საკანონმდებლო აქტში/აქტებში ცვლილებები, ისევე როგორც ამ ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა მასტიგმატიზირებული იარლიყის გარეშე, მაგალითად საგარეო დახმარების მართვის პორტალ eaims.ge-ის ტექნიკური მოდიფიცირება).

3.4. კანონის რეალური მიზნის მიმთითებელი არანორმატიული ინდიკატორები

სოციალურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონტექსტი, რომელიც სადავო კანონის ინიცირებისა და მიღების საკანონმდებლო პროცესს თან ახლდა, მათ შორის ამ პროცესის წინარე და თანმდევნი სახელისუფლებო რიტორიკა ნათლად მიუთითებს, რომ სადავო კანონი არ იყო ორდინალური დემოკრატიული საკანონმდებლო პროცესის შედეგად, ლეგიტიმური ინტერესების/კონსტიტუციური სიკეთების დასაცავად მიღებული სამართლებრივი აქტი.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია ორგანიზაციების დელეგატიმიზაციასა და სტიგმატიზებას მმართველი პოლიტიკური გუნდი კანონის მიღებამდეც ცდილობდა. ამ მცდელობების ცხადი მაგალითების არსებობაზე ასევე მიუთითა უფლებადამცველების შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა, საქართველოს თაობაზე მომზადებულ [ანგარიშში](#).

არსებითად იგივე შინაარსის და რეპრესიული ეფექტების მქონე კანონი პარლამენტში ჯერ კიდევ 2023 წლის თებერვალში [დაინიცირდა](#). მაღალი საზოგადოებრივი პროტესტისა და საერთაშორისო აქტორების მიერ გაკეთებული კრიტიკული შეფასებების ფონზე, [2023 წლის 9 მარტს](#), „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს და საპარლამენტო უმრავლესობის ერთობლივი განცხადებით ცნობილი გახდა გადაწყვეტილება კანონპროექტის „უპირობოდ, ყოველგვარი დათქმის გარეშე“ გაწვევის შესახებ.

მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წინააღმდეგ მტრული რიტორიკის გავრცელება კვლავაც გაგრძელდა.

2024 წლის 3 აპრილს, „უპირობოდ და ყოველგვარი დათქმის გარეშე“ გაწვეული კანონის ხელახალი ინიცირების შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადებასთან ერთად, გავრცელდა საპარლამენტო უმრავლესობის [განცხადება](#), რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებდა რომ „*გაუმჭვირვალობა არის მანკიერების ერთ-ერთი უმთავრესი წყარო და შესაბამისად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის, რაც საქართველოში გასული 4 წლის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა განსაკუთრებული სიცხადით დაგვიდასტურა*“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვენეციის კომისიის დასკვნის თანახმად, „*განმარტებითი ბარათი ვერ ასაბუთებს კანონის შემუშავებას ვერანაირი კონკრეტული საფრთხის ან რაიმე რეალური რისკის შეფასების საფუძველზე*“ (პარ. 69). ვენეციის კომისია ასევე მიუთითებს, რომ ონლაინ შეხვედრებისას დადასტურდა, რომ ამგვარი რისკების შეფასება არ გაკეთებულა (პარ. 69).

ამავდროულად, საგულისხმოა, რომ მმართველი პოლიტიკური გუნდის მიერ კანონის მიღებით უკვე მიაღდა ზიანი სახელმწიფო უსაფრთხოებას. [ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის](#) თანახმად, „*საქართველოს საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი მისი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში გაწევრებაა*“. ამ კანონის მიღებამ [უკვე შეუქმნა საფრთხე](#) საქართველოს ევროკავშირში გაწევრების პროცესს. როგორც საქართველოში ევროკავშირის ელჩმა პაველ ჰერჩინსკიმ, 2024 წლის 9 ივლისს ჟურნალისტებთან საუბარში [განაცხადა](#), საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი შეჩერებულია. [NATO-ს წარმომადგენლების](#) მიერ კანონის მიღება შეფასდა როგორც ნაბიჯი არასწორი მიმართულებით, რომელიც ამორებს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. კანონის მიღებისა და თანმდევი რეპრესიული პროცესების გამო [აშშ-მ სავიზო შეზღუდვები დააწესა და აშშ-საქართველოს თანამშრომლობის გადახედვას გეგმავს](#), მაშინ როდესაც, [ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის თანახმად](#), „*საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის საკითხში*“. ახლახანს, აშშ -საქართველოს ერთად დაგეგმილი სამხედრო სწავლება უვადოდ [გადაიდო](#). დამატებით, ევროკავშირის ელჩმა [განაცხადა](#), რომ საქართველოს თავდაცვის ძალების დახმარებისთვის განკუთვნილი 30 მილიონი ევრო გაიყინა.

საკომიტეტო განხილვებისა თუ პლენარული სხდომების მიმდინარეობისას, ისევე როგორც ამ სხდომების პარალელურად საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ პრეს-კონფერენციების ფარგლებში გაკეთებული განცხადებებიდან გამომდინარე, თანდათანობით მკაფიოდ იკვეთებოდა კანონის მიღების რეალური მიზანი. მაგალითად, კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღების შემდგომ გამართულ [პრეს-კონფერენციაზე](#), კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომ ხელისუფლებისთვის კრიტიკულად მიუღებელია სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებელი საქმიანობა.

განსაკუთრებით საყურადღებოა 2024 წლის 29 აპრილს, ქართული ოცნების საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის მიერ წარმოთქმული [სიტყვა](#). სხვა საკითხებთან ერთად, მან აღნიშნა, რომ „*ლგბტ-პროპაგანდისა*“ და „*ენჯელების*“ შესახებ კანონების ინიცირებას ორმაგი სარგებელი ჰქონდა: „*ერთი მხრივ, ამ ორი საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგებას ალტერნატივა არა აქვს და მეორე მხრივ, დასაგროვებელი ენერჯის ნაადრევი ხარჯვა ისედაც დასუსტებულ აგენტურას ძალას ბოლომდე გამოაცლის. შესაბამისად, კანონპროექტების ინიცირებისთვის დროც იდეალურად არის შერჩეული. ამ პროცესებით ქვეყანას და ხელისუფლებას არაფერი დაგვაკლდება, გარდა იმისა, რომ გლობალურ ომის პარტიას კიდევ ერთხელ გავანაწყენებთ, რომელსაც მეორე ფრონტის არგახსნის გამო ჩვენს მიმართ წყენა ისედაც არ აკლია*“. ამავდროულად, მან განაცხადა, რომ არჩევნების შემდეგ მათ ექნებათ იმის საშუალება, რომ „კოლექტიურ

ნაციონალურ მოძრაობას” გამოუტანონ „მკაცრი პოლიტიკური და სამართლებრივი განაჩენი”. საყურადღებოა, რომ ტერმინ „კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობაში” მმართველი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიასაც [მოიაზრებენ](#). შესაბამისად, მმართველი პარტიის მიერ გაჟღერებული მუქარა კანონის სამიზნე ორგანიზაციებსაც მიემართება (ბიძინა ივანიშვილის მიერ გაჟღერებული მუქარის რეალისტურობის თაობაზე, უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაწვერიანების თაობაზე მოლაპარაკების დაწყების ერთ-ერთი დაბრკოლება არის დეოლიგარქიზაციის ვალდებულების — სახელმწიფო ინსტიტუტების ოლიგარქიული გავლენებისგან გათავისუფლება — შეუსრულებლობა).

გარდა ამისა, მმართველმა პოლიტიკურმა გუნდმა სცადა, კანონთან დაკავშირებული აბსოლუტურად ყველა განსხვავებული მოსაზრების/დასკვნის/შეფასების დისკრედიტაცია და უგულებელყო ნებისმიერი კრიტიკა კანონთან მიმართებით. მაგალითად, ვენეციის კომისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, სალომე ქურასხედიაძემ, პრეს-კონფერენციაზე, ვენეციის კომისიის წინააღმდეგ შემდეგი ბრალდებები [გახმოვანა](#): „ვენეციის კომისიის დასკვნაში მრავლად ვხვდებით როგორც დაუსაბუთებელ და ურთიერთსაწინააღმდეგო სამართლებრივ მსჯელობას, ისე ფაქტების არაერთ უხემ დამახინჯებას“. ასევე, მან [განაცხადა](#), რომ ვენეციის კომისიის დასკვნა „გაჯერებულია მიკერძოებული შეფასებით“. ვენეციის კომისიის დასკვნას საქართველოს პრემიერ-მინისტრიც გამოეხმაურა და [აღნიშნა](#), რომ „ვენეციის კომისიას პროფესიულ ღირსებაზე საერთოდ უარი აქვს ნათქვამი“.

ამასთანავე, მოსარჩელე მხარე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ დრომდე არ წარმოდგენილა სამართლებრივი დასაბუთება იმის შესახებ, თუ რატომ არ არის საკმარისი მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ აბსტრაქტულად მითითებული საფრთხეების დაზღვევისთვის ის ვალდებულებები, რაც კანონის მიღებამდე ნორმატიულ სივრცეში არსებობდა. ამ საკითხზე ყურადღებას ვენეციის კომისიაც ამახვილებს (პარ. 99). ამავდროულად, მმართველმა პოლიტიკურმა გუნდმა უარი თქვა ალტერნატიულ საკანონმდებლო მექანიზმებზე, მათ შორის, არსებულ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების განხორციელებაზე და განზრახ მასტიგმატიზირებელი და ღირსების შემლახველი საკანონმდებლო აქტი მიიღო.

კანონის მიღების კვალდაკვალ, საზოგადოებამ იხილა კანონის მოწინააღმდეგეთა მიმართ მმართველი ხელისუფლების მიერ წახალისებული და მართული ფართომასშტაბიანი რეპრესიული მექანიზმების პრაქტიკაში მოქმედება. [თავდასხმების, ჩასაფრებების, დაკავებების, საპოლიციო ძალების მიერ აქციის მონაწილეების მიმართ ძალის გადამეტების](#) პარალელურად, მიმდინარეობდა კანონის ოპონენტთა ორგანიზებული დაშინების მცდელობა, [ვანდალიზმით, მუქარის შემცველი ზარებით, მათ შორის არასრულწლოვანებთან და ახალი რეპრესიების დაანონსებით](#). მიუხედავად რეპრესიული მექანიზმების გამოყენებისა, [საზოგადოების პროტესტი არ წყდებოდა](#). ნიშანდობლივია 2024 წლის 31 მაისს განვითარებული მოვლენები, კერძოდ [31 მაისს გამთენიისას](#), სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია ორგანიზაციების ოფისებთან ვანდალიზმის ფაქტს მოჰყვა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის, გურამ მაჭარაშვილის მიერ კანონის ოპონენტების „[ჯამუშობის მუხლით](#)“ [გასამართლების მუქარა](#) და პარლამენტის დეპუტატის, ქართული ოცნების პოლიტიკური საბჭოს წევრის, დიმიტრი სამხარაძის [აღიარება](#), რომ 31 მაისის ვანდალიზმის უკან თავად იდგა.

3.5. შეჯამება: კანონის რეალური მიზანი: მტრის ხატის შექმნა, მისი დისკრედიტაცია და განადგურება

მოსარჩელეთა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ ორგანიზაციული ფორმის მქონე გაერთიანებები, რომლებსაც აქვთ იდეალისტური, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის საზოგადოებრივად სასარგებლო სხვადასხვა მიზანი. შესაძლოა, ეს მიზანი იყოს

ქველმოქმედება, კორუფციის პრევენცია, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებაში დახმარება ან/და ადამიანების სხვაგვარად მხარდაჭერა. ზოგიერთმა ორგანიზაციამ ამ მიზნების მიღწევას წლები, ხოლო ზოგიერთმა — ათწლეულები შეაღია.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მსგავსი საქმიანობის წარმართვა წარმოადგენს ქართული საზოგადოების უწყვეტ ტრადიციას, რომელიც სათავეს იღებს პირველი ქართული სამოქალაქო საზოგადოების (არასამთავრობო) ორგანიზაციის, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაფუძნებიდან და უკვე 145 წელს ითვლის.

მოსარჩელეთა მეორე ნაწილს წარმოადგენენ მედიაორგანიზაციები, რომლებიც, მართალია, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით კომერციული ორგანიზაციები არიან, თუმცა მათი თავისუფალი საქმიანობისა და მთავარი მიზნის (საზოგადოების ინფორმირების) განსაკუთრებული სტატუსი (მასობრივი ინფორმაციის საშუალებები) და როლი, დემოკრატიული საზოგადოების შენარჩუნებისთვის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და დაცულია. მეტიც, სახელმწიფოს მხრიდან ცენზურისგან და მონოპოლიზაციისგან დაცული ინფორმაციის საშუალებების არსებობა, კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებით, ფაქტობრივად, აბსოლუტურ უფლებადაა აღიარებული.

ნიშანდობლივია, რომ სადავო კანონის სამიზნე ობიექტს წარმოადგენს ორივე დასახელებული ჯგუფი. ამ ორი ჯგუფის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ასპექტები კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლითაა დაცული, თუმცა, რაც მათთვის საერთოა, ეს არის გამოხატვის თავისუფლების სხვადასხვა ფორმით სარგებლობა, მათი საქმიანობის საჯაროობის მაღალი ხარისხი, საზოგადოებასთან ურთიერთობის ინტენსივობა, რაც, მთლიანობაში, აყალიბებს და განსაზღვრავს კიდევ ამ ჯგუფების სოციალურ იმიჯს/იდენტობას, რომელიც იქმნება კონკრეტული სუბიექტის მონაწილეობით საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და სხვებთან კომუნიკაციის პროცესში, სოციუმის მხრიდან მისი აღქმით (მაგ.: *Kunig, GG, Art. 2, Rn. 125; BVerfGE NJW 1989, 3269*). პირის სოციალური იდენტობის ასპექტი გულისხმობს საზოგადოებაში სოციალურ მნიშვნელობაზე მისი პრეტენზიის დაცვას რეპუტაციის ხელშეწყობის, სოციალური იმიჯის დამაზიანებელი, დამამცირებელი შეფასების ან წარმოჩენისაგან (*შეადარე მაგ.: Kunig, GG, Art. 2, Rn. 32; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 74; Starck, GG, Art. 2, Rn. 171*).

წლების განმავლობაში, სექტორებს, რომლებსაც მოსარჩელები წარმოადგენენ, ჩამოუყალიბდათ სოციალური იდენტობა, საზოგადოებრივი იმიჯი და მყარი რეპუტაცია. ამ იდენტობის შენარჩუნებასა და დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი საქმიანობის შეუფერხებლად გაგრძელებისა და განხორციელებისთვის, რაც მოსარჩელეთა ბენეფიციარებისა და მთლიანად, დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებშიცაა. კერძოდ, საქმიანი რეპუტაციისა და ნდობის განსაკუთრებული საჭიროება, გამოწვეულია მათი საქმიანობის სფეროს სპეციფიკით. ისინი ემსახურებიან საკომუნიკაციო უფლებების რეალიზაციას, რაც ძირითად უფლებათა კონსტიტუციური წესრიგის ქვაკუთხედად და დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელ და ძირითად ფუნქციონალურ ელემენტად ითვლება (*საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/5/675,681 გადაწყვეტილება პარ. 71*).

წინამდებარე სარჩელის მე-2 თავში დადასტურდა, რომ სადავო ნორმები, ერთი მხრივ, მოსარჩელე მხარეს ანიჭებს ღირსების შემლახავ მასტიგმატიზირებელ სტატუსს, ხოლო მეორე მხრივ, მათგან მოითხოვს ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ქმედებების განხორციელებას, რაც ცალ-ცალკე და მთლიანობაში იწვევს მოსარჩელეთა სტიგმატიზაციას, გამოიწვევს მათი სოციალური იმიჯის განადგურებას და ხელს შეუწყობს მათდამი მტრული გარემოს ჩამოყალიბებას. ამავდროულად, ცხადად დასაბუთდა, რომ „გამჭვირვალობის უზრუნველყოფა“ სადავო ნორმების თვითმყოფადი ლეგიტიმური

მიზანი ვერ იქნება (იხ. ქვეთავი 3.2.). ამასთანავე სახეზეა არაერთი ნორმატიული (იხ. ქვეთავი 3.3.) და არანორმატიული (იხ. ქვეთავი 3.4.) ინდიკატორი, რომლებიც მთლიანობაში მიუთითებს, რომ სადავო ნორმების რეალური მიზანი არა გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, არამედ სამიზნე ორგანიზაციების საზოგადოებრივი რეპუტაციის შელახვა, მათი ლეგიტიმური და კონსტიტუციით განსაკუთრებულად დაცული საქმიანობის დისკრედიტაცია, არსებითი ოპერაციული პრობლემების შექმნა და საბოლოოდ — სამიზნე სექტორის დამოუკიდებლობის სრული მოსპობა-განადგურება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვა უნდა ემსახუროდეს ღირებულ საჯარო ლეგიტიმურ ინტერესს. როგორც უკვე აღინიშნა, სადავო კანონით გაცხადებული გამჭვირვალობის უზრუნველყოფა არ არის და ვერც იქნება თავისთავადი ლეგიტიმური ინტერესი, ხოლო კანონის რეალურ მიზანს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოსთვის არამც თუ ღირებულება არ აქვს, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება და ძირს უთხრის მის მნიშვნელობას. სადავო კანონი და მისი კონკრეტული დებულებები არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ ხდება სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოსა და ადამიანის უფლებების დამრღვევი სამართლებრივი აქტების დასაბუთების წარმოჩენა, რომელიც შუფუთულია თავად ამ იდეალებზე ფორმალური მითითებით, მაშინ როდესაც მათი არსი ამავე იდეალების საწინააღმდეგო ქმედებათა ცხადი მანიფესტაციაა. კანონმდებლის მსგავსი ქმედებები სრულად შიგნავს და არსს აცლის იმ ღირებულებათა სისტემას, რომელსაც მოდერნული ნორმატიული კონსტიტუციური თეორია ეფუძნება.

4. გაერთიანებისა და მედიის თავისუფლება: საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტითა და მე-17 მუხლის მე-3 პუნქტით დაცული უფლებების დარღვევა

მოსარჩელე მხარეს წარმოადგენენ ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და მედიაორგანიზაციები (მაუწყებელი, ბეჭდური და ონლაინ მედია). წარმოდგენილი ორგანიზაციების თავისუფალი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტი დაცულია კონსტიტუციის სხვადასხვა ნორმით. მოცემულ შემთხვევაში, შეზღუდვის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი ეს უფლებები დაცულია გაერთიანების თავისუფლებითა და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების უფლებებით.

ვინაიდან სადავო ნორმები ერთი და იმავე მეთოდებით არღვევს როგორც საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით, ისე მე-17 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებით დაცულ უფლებებს/გარანტიებს, ბუნებრივია, თითოეული უფლების დაცული სფერო ცალ-ცალკე განიმარტება, თუმცა თავად დაცული სფეროების დარღვევა — ერთიანად შეფასდება.

4.1. გაერთიანების თავისუფლებით დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფილია“. გაერთიანების თავისუფლება აღიარებული და დაცულია იმ მთავარი მიზნითა და დანიშნულებით, რომ საშუალება მისცეს ადამიანს, როგორც Zoon Politikon არსებას, მოახდინოს პიროვნული თავისუფლების რეალიზაცია, სოციალური ურთიერთობების შექმნისა და განვითარების მეშვეობით. პრინციპში, ადამიანის თავისუფლების არამხოლოდ რეალიზების ასპექტი, არამედ საკუთრივ თავისუფლების შინაარსის განმაპირობებელი, მისი მთავარი წყარო ის სოციალური კავშირებია, რომლის შიგნითაც, ადამიანს საკუთარი ცხოვრების საკუთარივე გადაწყვეტილებით წარმართვის შესაძლებლობა ეძლევა. ადამიანის სასიცოცხლო ინტერესშია, თავი მიაკუთვნოს ამა თუ იმ ფორმის სოციალურ ერთობას (მათ შორის სახელმწიფოც ამგვარი ერთობაა) და მის ფარგლებში რეალიზდეს. სოციალურ გაერთიანებას

სრულად მოწყვეტილი, მის მიღმა დარჩენილი ადამიანის არსებობა სწორედაც რომ შეიძლება იყოს „მარტოსული, ღარიბი, საზიზღარი, უხეში და ხანმოკლე“.

გაერთიანების თავისუფლება, მისი სიტყვასიტყვითი განმარტებითაც კი, გულისხმობს: 1) ადამიანის შესაძლებლობას შექმნას, შეუერთდეს, მონაწილეობა მიიღოს, მონაწილეობისგან თავი შეიკავოს ან/და სულაც დატოვოს მის მსგავს არსებობა ერთობა; 2) ადამიანის შესაძლებლობას, ეს ყოველივე გააკეთოს თავისუფალი გადაწყვეტილებების საფუძველზე და არა იძულებით, ზეწოლით თუ სხვაგვარი რეპრესიული მექანიზმების შიშის ან მორჩილების გამო. „სწორედ გაერთიანება ავითარებს ცხოვრების ჭეშმარიტ წესს და არა ცალკე მდგომი ცხოვრებისეული მიზნები“ (შეადარე, მაგ. *Griswold v Connecticut*, (381 U.S. 479 (1965))).

გაერთიანების თავისუფლება ორ ნაწილად იყოფა: 1) ინტიმური გაერთიანება; 2) კოლექტიური გაერთიანება. ინტიმური გაერთიანება გულისხმობს იმ ტიპის გაერთიანებას, რომლის შექმნაც, როგორც წესი, ადამიანისთვის თავისთავადი მიზანია და არა მიზნის მიღწევის საშუალება (მაგ. ოჯახი, სამეგობრო, სანათესაო და სხვ.). კოლექტიური გაერთიანება თავის თავში მოიცავს გაერთიანების ფართო სპექტრს და მასში მოიაზრება ყველა იმგვარი გაერთიანება, რომელიც არ განეკუთვნება ინტიმურ გაერთიანებას. როგორც წესი, კოლექტიური გაერთიანება იქმნება კონკრეტული მიზნით/მიზნებით და წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ამ მიზნების მისაღწევად. მაშასადამე, მისი ბუნება ინსტრუმენტულია, ხოლო მისაღწევ მიზანთა დიფერენციაციის მიხედვით, შესაძლოა, იგი ექცეოდეს კონსტიტუციის 22-ე მუხლის დაცვის ქვეშ, ან კონსტიტუციით დაცულ სხვა უფლებათა რეგულირების სფეროში (მაგ. საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული პოლიტიკური პარტიების შექმნის თავისუფლება; 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცული პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება, თუ ამავე მუხლის მე-4 პუნქტით აღიარებული მეწარმეობის თავისუფლება და სხვ).

მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ კონსტიტუციის 22-ე მუხლი სწორედ კოლექტიური გაერთიანების თავისუფლებას იცავს. უფრო კონკრეტულად კი — იმგვარ კოლექტიურ გაერთიანებებს, რომლებიც არ ექცევიან კონსტიტუციის სხვა უფლებებით დაცულ სფეროში.

თავად საკონსტიტუციო სასამართლოც ხაზს უსვამს აღნიშნული კონსტიტუციური დებულების მნიშვნელობას ინდივიდების, მათი გარკვეული ინსტიტუციური ფორმით თვითორგანიზებისა და ამ ფორმით საერთო მიზნებისკენ სწრაფვის მნიშვნელობას. სასამართლოს განმარტებით, „გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფს ადამიანის თვითრეალიზაციას სხვა პირებთან, სოციალურ, საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთად ... გაერთიანების თავისუფლებას მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს დემოკრატიულ საზოგადოებაში პირის ინტეგრირებისა და მისი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეგნების ჩამოყალიბებისათვის“. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის №2/2/439 გადაწყვეტილება, II-2).

თუმცა, გაერთიანების თავისუფლების მნიშვნელობა გაცილებით დიდია, ვიდრე ინდივიდის გადასახედიდან მისი ინსტრუმენტად აღქმა და მის ფუნქციონირებას მნიშვნელოვნად უკავშირდება თავად დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა. მოცემული სარჩელის ფარგლებში, უკვე არაერთხელ განიმარტა, რომ თითოეული ორგანიზაცია, საკუთარ არსებობას უკავშირებს კონკრეტულ, იდეალისტურ მიზანს და საქმიანობასაც სწორედ მათ მისაღწევად წარმართავს, მათ შორის, სხვადასხვა წყაროებიდან მოიძიებს საჭირო მატერიალურ და ადამიანურ რესურსს.

მიუხედავად იმისა თუ რა სფეროში საქმიანობს ესა თუ ის გაერთიანება და რა სეგმენტზე გათვლილ მიზანს ემსახურება, საბოლოო ჯამში, მათი არსებობა და შეუფერხებელი საქმიანობა ქვეყნის განვითარებაში

მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მაგალითად, მოსარჩელე ორგანიზაციათა საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება: მოქალაქეთა უფლებების დაცვა; არსებული სერვისების (ჯანდაცვის, განათლების, გარემოს დაცვისა თუ ნებისმიერ სხვა სექტორში) გაუმჯობესება და მასზე ხელმისაწვდომობის ზრდა; სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის კონტროლი და მათზე ზედამხედველობა; არჩევნების სამართლიან და თანასწორ გარემოში ჩატარება და სხვ.

ადამიანთა თავისუფალი გაერთიანება ორგანიზაციული ფორმით და ამ ორგანიზაციათა შეუფერხებლად ფუნქციონირება, თავისი არსით, ხელისუფლების განხორციელებაზე საზოგადოებრივი კონტროლის ეფექტური საშუალებაა. აღნიშნულის გარეშე თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირება შეუძლებელია.

იმისთვის რომ აღნიშნულმა გაერთიანებებმა დასახულ მიზანს მიაღწიონ, საჭიროა, მათთვის შესაბამისი ნორმატიული სივრცის უზრუნველყოფა, რომელიც თავის მხრივ, შესაბამისობაში უნდა იყოს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებთან.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი „*მოქმედებს, როდესაც სახეზეა: ა) პირთა ერთობა; ბ) პირთა ერთობა შექმნილია ნების თავისუფალი გამოვლინების შედეგად; გ) პირთა ერთობა ჩამოყალიბებულია ხანგრძლივი ვადით; დ) პირთა ერთობას აქვს საერთო მიზანი და ე) პირთა ერთობაში ნების ფორმირებას აქვს ორგანიზებული სახე. სწორედ ეს ნიშნები ერთობლივად ან რომელიმე მათგანი ცალკე აღებული განასხვავებს გაერთიანებას პირთა სხვა ერთობებისაგან, როგორცაა შეკრებები, ობიექტურ თუ ბუნებრივ საფუძველზე დამყარებული ერთობები და ა.შ.*“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის №2/2/439 გადაწყვეტილება, II-12).

როგორც უკვე აღინიშნა, გაერთიანების თავისუფლებით არა მხოლოდ გაერთიანების შექმნისა და მასში გაწევრიანების პროცესია დაცული, არამედ გაერთიანების არსებობასთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ისეთი ასპექტი, როგორცაა: მიზნის შერჩევა, საქმიანობის ორგანიზება, გადაწყვეტილებების მიღება, გაერთიანების წევრად დარჩენა, გაერთიანების ლიკვიდაცია და სხვ. „*გაერთიანების არსებობის რომელიმე ეტაპზე კონსტიტუციური დაცვის გაუვრცელებლობა, კოლეგიის პოზიციით, დაუშვებლად გაზრდიდა სახელმწიფოს მხრიდან მის საქმიანობაში თვითნებური ჩარევის რისკს და არაეფექტურს გახდიდა გაერთიანების თავისუფლების კონსტიტუციურსამართლებრივ დაცვას*“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის №2/2/439 გადაწყვეტილება, II-9). ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს ხედვითაც, გაერთიანების თავისუფლება მოიცავს ამ სუბიექტის ფუნქციონირების სრულ სპექტრს.

მოცემული სასარჩელო მოთხოვნისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გაერთიანების თავისუფლების რეალიზაციის პროცესში სახელმწიფოს ჩარევის ფარგლებს, რომელიც უნდა იყოს მკაცრად რეგლამენტირებული და ვიწროდ მიმართული საჯარო ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. ცხადია, სახელმწიფოს მხრიდან გაერთიანების თავისუფლების სარგებლობის შედეგად შექმნილი ორგანიზაციული წარმონაქმნისთვის რეპუტაციის შემლახველი, მადისკრედიტირებელი და მის მიმართ უმძიმესი სტიგმის დამწერგავი სახელწოდების დარქმევა არ წარმოადგენს ამგვარი ჩარევის ლეგიტიმურ საფუძველს. სახელმწიფოს მხრიდან, კანონმდებლის მეშვეობით ამის განხორციელებას უმძიმესი გავლენა აქვს მოსარჩელეთა საქმიანობაზე.

გაერთიანების თავისუფლების შეუფერხებელი და ეფექტიანი ფუნქციონირების წინაპირობა საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებაა. სწორედ ამ ნდობაზეა დაშენებული მის მიერ განხორციელებული

ნებისმიერი აქტივობის მიმართ ობიექტურობის, სერიოზულობის, გულწრფელობისა და კეთილსინდისიერების აღქმა. შესაბამისად, კონსტიტუცია ვერ დაუშვებს იმგვარი საკანონმდებლო ნორმების არსებობას, რომელიც მიზნად ისახავს გაერთიანების საქმიანობის ისეთ დამცრობას, რომ თავად გაერთიანების არსებობა ხდება ილუზორული. სადავო ნორმების მსგავსი სამართლებრივი ჩარჩოს შემოღებით, სახელმწიფო ისწრაფვის, რათა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა დაკარგონ საზოგადოებრივი ნდობა, ხოლო მათი საქმიანობა გახდეს დისკრედიტებული, ტაბუდადებული და გასაკიცხი. ამგვარი მიდგომა, თავისი სიმძიმით, ასეთი ორგანიზაციების ლიკვიდაციას უთანაბრდება.

გაერთიანების თავისუფლება, ცალკე აღებული, სამართლებრივი ფიქციაა. როგორც უკვე აღინიშნა, მის შინაარსსა და დანიშნულებას სრულად განსაზღვრავენ ის ადამიანები, რომლებსაც სურთ სხვადასხვა მიზნის მიღწევა ამ ინსტრუმენტის გამოყენებით. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან მცდელობა, ამგვარ გაერთიანებებს გაუნადგუროს სოციალური იდენტობა, შეულახოს იმიჯი, შესძინოს სტიგმა და მათი არსებობა გასაკიცხად აქციოს, ავტომატურად აისახება თავად გაერთიანების წევრებსა და მასთან დაკავშირებულ პირებზე. სადავო კანონის მსგავსი სამართლებრივი ჩარჩოს არსებობის პირობებში, ადამიანები ან თავს შეიკავებენ გაერთიანების ორგანიზაციული ფორმით საქმიანობისგან, ან მოუწევთ ინდივიდუალურად, სოციალური ერთობის გარეშე წარმართონ საქმიანობა, რაც არამხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით დაცულ უფლებას არღვევს, არამედ ადამიანის, როგორც სოციალური არსების არსს ეწინააღმდეგება.

გაერთიანების თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ ადამიანის შესაძლებლობას თავისუფლად განსაზღვროს მიზანი/მიზნები, რასაც ესწრაფვის გაერთიანების შექმნითა თუ მასში მონაწილეობით, არამედ თავად გაერთიანების ინსტიტუციურ-ორგანიზაციულ გარანტიებს, მისი საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებას. დაუშვებელია, კანონმდებლობა ითვალისწინებდეს იმგვარ მექანიზმებს, რომელიც გაერთიანებას აიძულებს, ამ პროცესში საკუთარი თავისუფალი ნებიდან გადახვევას, მის მნიშვნელოვან მოდიფიცირებასა და კანონმდებლობაზე მორგებას, თუკი ამგვარი ქმედებები, არ გულისხმობს რაიმე სახისა და ხარისხის არამართლზომიერებას.

ამასთან, მოსარჩელე მხარისთვის მნიშვნელოვანია, საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით გარანტირებული უფლებით დაცული სფეროს ნაწილად ამოიკითხოს გაერთიანების საქმიანობაში ხელშემლის დაუშვებლობა არამხოლოდ საქმიანობის აკრძალვის ფორმით, არამედ ყველა იმ მექანიზმით, რომელიც მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, არსებითად ართულებს ან შეუძლებელს ხდის გაერთიანების ფუნქციონირებას. ამგვარ ასპექტებს შორის საციცოცხლო მნიშვნელობისაა თავისუფალი წვდომა რესურსებზე, მათ შორის ფინანსური რესურსების მოძიება და განკარგვა. დაუშვებელია, კანონიერად შექმნილ და ფუნქციონირებად ორგანიზაციას, სახელმწიფო, ყოველგვარი ეჭვის დასაბუთების გარეშე, ბლანკეტურად, აბსტრაქტული კანონით ხდიდეს გაკიცხვისა და დამანგრეველი რეპრესიული კონტროლის სამიზნედ.

ცალკე აღსანიშნავია გაერთიანებაში დაცული ინფორმაციის უსაფრთხოების მნიშვნელობა თავად ამ გაერთიანების ფუნქციონირებისთვის. ნებისმიერი ორგანიზაცია, საკუთარ საქმიანობაში იყენებს ან გარდაუვლად მოუხდება გამოიყენოს/დაამუშავოს სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია. წარმოუდგენელია, რომელიმე გაერთიანებამ საქმიანობა წარმართოს სრულ ვაკუუმში, შესაბამისი პარტნიორების, კონტრაქტორების, სარგებლის მიმღები ბენეფიციარებისა და სხვა მსგავს სუბიექტთა გარეშე. თითოეულ ამ სუბიექტს უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ მის შესახებ ინფორმაცია — ხშირ შემთხვევაში კი საკმაოდ სენსიტიური ინფორმაცია — რომელიც ამა თუ იმ ორგანიზაციას მიანდო, დაცული იქნება სათანადო წესითა და გაუთქმელობის პირობით. ამის გარეშე, შეუძლებელია რომელიმე გაერთიანებამ საზოგადოების მინიმალური ნდობაც კი მოიპოვოს.

ორგანიზაციისთვის მინდობილი ინფორმაციის უსაფრთხოების მხრივ, სპეციფიკურად აღნიშვნას იმსახურებს ვიწრო პროფილის მქონე გაერთიანებების საქმიანობა, რომელთა ფარგლებშიც, ცალკეულ თანამშრომელთა მიერ მოპოვებული ინფორმაცია, ნებისმიერ დემოკრატიულ და სამართლებრივ სივრცეში განსაკუთრებული დაცულობით სარგებლობს. მსგავსი საქმიანობის არაამომწურავი ჩამონათვალი გულისხმობს ორგანიზაციებს, რომლებიც სწევენ უფასო სამართლებრივ დახმარებას საადვოკატო საქმიანობის მეშვეობით, აწვდიან ან შეხება აქვთ სამედიცინო სერვისებთან, მათ შორის, ახორციელებენ ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერას, წამალდამოკიდებულ ადამიანთა მიმართ სხვადასხვა ტიპის პროგრამებს და სხვ. გარდა ზოგადი მონაცემებისა, ამ ტიპის ორგანიზაციაში დაცულია აგრეთვე იმდენად მომეტებული სენსიტივობის მქონე ინფორმაცია, რომლის დაცულობას თავად კონსტიტუცია და სპეციალიზებული კანონმდებლობაც კი განცალკევებით გამოყოფს (მითითებული ინფორმაციის გამჟღავნებისგან დაცვის საჭიროება დაცულია არამხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით, არამედ მისი საჭიროება აღიარებულია სხვა მუხლებითაც მაგ. საქართველოს კონსტიტუციის მე-15, მე-17, მე-18, მე-19, 26-ე მუხლები).

შესაბამისად, გაერთიანების თავისუფლებით გარანტირებული საქმიანობის დაცულობა, გარდაუვლად მოიაზრებს გაერთიანების შესაძლებლობას, დაიცვას მისთვის მინდობილი მონაცემები, რომელზეც ნებისმიერი სხვა პირის (მათ შორის სახელმწიფოს) მხრიდან წვდომის შესაძლებლობაც კი, საფუძველს აცლის და აზრს უკარგავს ამგვარ საქმიანობას. საბოლოო ჯამში კი, ადამიანებს შეუქმნის დაუძლეველ ბარიერს ეთანამშრომლონ ამ ტიპის გაერთიანებებს.

4.2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება: საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება

საქართველოს კონსტიტუციის მე-17-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, აღნიშნული უფლება ვრცელდება შემთხვევებზე, როდესაც საფრთხე ექმნება მედიასაშუალების ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას. კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი *„ადგენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების კონსტიტუციურსამართლებრივ გარანტიას. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებაში მოიაზრება მათი ინსტიტუციური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა, სახელმწიფოსაგან მათი თავისუფლება იმ მნიშვნელოვანი როლის განხორციელებისას, რომელიც მედიას ეკისრება ყოველ დემოკრატიულ სახელმწიფოში. ... კონსტიტუციის დასახელებული ნორმა [17.3] ადგენს წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რათა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა კონსტიტუციური საჯარო წესრიგით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეასრულონ თავიანთი ფუნქცია საჯარო კომუნიკაციის პროცესში - განახორციელონ „საზოგადოებრივი დარაჯის როლი“, ხელი შეუწყონ განსხვავებული იდეების ცირკულაციას, საზოგადოებრივი პრობლემების სააშკარაოზე გამოტანას და მათზე საჯარო დისკუსიებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება, უწინარესად, გულისხმობს სწორედ მათ ინსტიტუციურ-ორგანიზაციულ თავისუფლებას, მათ შესაძლებლობას, გარე ჩარევისაგან დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები ყველა შესაბამის საკითხზე, რაც კი მათ საქმიანობას შეეხება, დაწყებული მასმედიის საშუალების დაფუძნებიდან და მისი შიდა ორგანიზაციული საკითხებიდან, თვითრეგულაციის ჩათვლით, დამთავრებული ინფორმაციის მოპოვებითა და გავრცელებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/7/1483 საოქმო ჩანაწერი, II-18). აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტით დაცული სფეროს ობიექტს მასობრივი ინფორმაციის საშუალება წარმოადგენს, მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, იქნება ეს მაუწყებელი, ონლაინ მედია, თუ ბეჭდური მედია. (აღნიშნულზე*

მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/7/1483 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს საინფორმაციო ქსელების ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სადაც, სასამართლომ ონლაინ მედიაზე იმსჯელა, როგორც 17-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაცულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებაზე). საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი კი ადგენს ამავე მუხლის მესამე პუნქტით დაცულ უფლებაში ჩარევის ფორმალურ და მატერიალურ საფუძვლებს, რომელსაც სადავო ნორმები არ შეესაბამება.

კერძოდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალების თავისუფალი საქმიანობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისდამი საზოგადოების ნდობას, რამდენადაც, მისი არსებობა, კომერციული თუ არაკომერციული შემოსავალი სწორედ აღნიშნულ ფაქტორზეა დამოკიდებული. მასობრივი ინფორმაციის საშუალებას თუ მაყურებელი ან/და მკითხველი არ ეყოლება, იგი ვერ შეძლებს ვერც რეკლამის მოზიდვას და ვერც გრანტის თუ სხვა სახის არაკომერციული შემოსავლის მიღებას.

სხვაგვარად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი მათი მომხმარებლის/მაყურებლის ნდობას არსებითი მნიშვნელობა აქვს. მასტიგმატიზირებელი, შეურაცხმყოფელი და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ეფექტი, რომელსაც სადავო ნორმები იწვევს, არსებითად აზიანებს მოსარჩელე მედიასაშუალებებისადმი ნდობას და მათ შემოსავლის სრული დაკარგვის საფრთხის წინაშე აყენებს. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების სფერო ფარავს ყველა იმ ასპექტს, რომელიც უკავშირდება მედიის ორგანიზაციულ-სამართლებრივ და ოპერაციულ მხარეს. უდავოა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებისგან, მასში დასაქმებული ან მასთან ასოცირებული პირებისგან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ინფორმაციის მოპოვების ფაქტობრივად ულიმიტო უფლებამოსილების მინიჭება, ხოლო მიუწოდებლობის შემთხვევაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებისთვის საჯაროსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, სადავო ნორმებით დაზიანებულ სხვა ლეგიტიმურ ინტერესებთან ერთად, მიეკუთვნება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტით დაცულ სფეროს.

4.3. სადავო ნორმების შემზღვეველი ბუნება და ჩარევა საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით და მე-17 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებით დაცულ სფეროში

გაერთიანების თავისუფლებითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დაცულ უფლებრივ ასპექტებში ჩარევა, რომელიც შემდგომ ქვეთავებშია წარმოდგენილი, ერთობლიობაში ცხადყოფს, რომ სადავო ნორმების მოქმედების პირობებში, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება გაერთიანების იდეალისტური მიზნების მიღწევა ან ამ მიზნებისკენ თავისუფალ პირობებში სწრაფვა, რაც, შედეგად, თავად ამ მიზნების დაზიანებაში აისახება. სასარჩელო არგუმენტაციის აღქმადობის მიზნით, ჩვენ არ გავიმეორებთ სარჩელის მე-2 და მე-3 თავებში სადავო ნორმებთან მიმართებით წარმოდგენილ მსჯელობას, თუმცა აღნიშნული დასაბუთება/არგუმენტები მოაზრებული გვაქვს, მათ შორის, სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილის მიზნებისთვისაც.

4.3.1. საქმიანი რეპუტაცია და სტიგმატიზაცია

როგორც უკვე აღინიშნა, სადავო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, თუ რა კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას იქცევა კონკრეტული (მედია)ორგანიზაცია „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ“ ორგანიზაციად. ამგვარ უმთავრეს კრიტერიუმად მისი შემოსავლის მეხუთედზე მეტის წყაროდ უცხოური ძალის დაფინანსებას განსაზღვრავს. ამასთან, სადავო კანონის მე-4 მუხლის პირველ-მე-4 პუნქტები, მე-5 მუხლი და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს ერთი მხრივ უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის შექმნას, ხოლო, მეორე მხრივ, ამ

რეესტრში რეგისტრირებულ ორგანიზაციებთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის, მათ შორის, მათი საფინანსო დეკლარაციის საჯაროდ განთავსებას და (მედია)ორგანიზაციას სთხოვს დარეგისტრირდეს უცხოური ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად.

სარჩელის 2.1. ქვეთავში ფართოდ იქნა წარმოდგენილი დასაბუთება, თუ რატომ არის თავად ტერმინი „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“ საქმიანი რეპუტაციის შემლახველი, სტიგმის მიმნიჭებელი და მადისკრედიტირებელი. ამასთან, უკვე განიმარტა ის დამატებითი მძიმე მასტიგმატიზირებელი ეფექტი, რაც ამ იარლიყის მინიჭების მიღმა ორგანიზაციათა რეესტრის შექმნასა და მასში რეგისტრაციას თან სდევს. ამ არგუმენტებს, ბუნებრივია, სარჩელის ამ ნაწილში აღარ გავიმეორებთ.

გაერთიანების თავისუფლებისა (22.1) და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების (17.3) კონსტიტუციური დებულებით დაცულ სფეროში ჩარევის დასადასტურებლად, ამ ნაწილში, საკმარისია იმის წარმოჩენა, რომ კანონმდებელი, დასახელებული სადავო ნორმებით, ყოველგვარი არამართლზომიერი ქმედების განხორციელებისა თუ ამგვარ ქმედებაზე თუნდაც რაიმე სახის ეჭვის გარეშე, მხოლოდ უცხოური დაფინანსების არსებობის პირობებში, (მედია)ორგანიზაციებს სამიზნეში იღებს. კერძოდ, ანიჭებს მათ მასტიგმატიზირებელ და შეურაცხმყოფელ სტატუსს ანიჭებს, შემოაქვს რეპრესიული მექანიზმები, რომლებიც არსებით ზიანს აყენებს მათ ფუნქციონირებას, იწვევს მათგან არაგონივრული რესურსების გაღებას და ითვალისწინებს მძიმე ფორმის ადმინისტრაციულსამართლებრივ პასუხისმგებლობას ქმედებისთვის, რომლებიც მოსარჩელეთა პოზიციით, საერთოდ არ შეიცავს საზოგადოებრივი გაკიცხადობის ნიშნებს.

ამდენად, აშკარაა, რომ მითითებული სადავო ნორმებით ხდება ჩარევა კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით და მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი და მე-5 პუნქტებით დაცულ უფლებრივ სფეროებში.

4.3.2. (მედია)ორგანიზაციის ზოგადი ფუნქციონირება და საქმიანობის ცალკეული ასპექტების შეზღუდვა

სადავო კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციებისთვის მინიჭებული იარლიყისა და სხვადასხვა რეპრესიული ღონისძიებების მადისკრედიტირებელი შედეგი მხოლოდ ცალკე აღებულ ორგანიზაციათა საქმიანი რეპუტაციის შელახვით არ შემოიფარგლება და ისინი პირდაპირ შეზღუდვას ითვალისწინებს გაერთიანების/მასობრივი ინფორმაციის საშუალების ფუნქციონირებისთვის, რაც სარჩელის მოცემულ ნაწილში იქნება წარმოდგენილი, სხვა გასაჩივრებულ დებულებებთან ერთიანობაში.

სადავო კანონის მე-4 მუხლის სადავო პუნქტები განსაზღვრავს (მედია)ორგანიზაციის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად შესაბამის რეესტრში პირველადი რეგისტრაციის ვალდებულებასა და პროცედურას. კერძოდ, ორგანიზაცია ვალდებულია, ამ მიზნით, ჯერ მოითხოვოს შესაბამის ელექტრონულ რესურსზე დაშვება, შემდგომში კი — წარადგინოს წერილობითი განაცხადი, რომელიც, იმავდროულად, მისი საფინანსო დეკლარაციაა. აღნიშნული დეკლარაცია მოიცავს ინფორმაციას მის მიერ მიღებული შემოსავლის წყაროს, მისი მიზნობრიობის, აგრეთვე დახარჯული ნებისმიერი თანხის ოდენობასა და მიზნობრიობას. სადავო კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, ყოველ მომდევნო კალენდარულ წელს, განსაზღვრავს ორგანიზაციის ვალდებულებას წარადგინოს საფინანსო დეკლარაცია. რაც შეეხება სადავო კანონის მე-8 მუხლს, ეს უკანასკნელი ითვალისწინებს მონიტორინგის მექანიზმს, რასაც საკითხის სათანადოდ შესწავლასა და გამოკვლევას უწოდებს.

კონსტიტუციური სარჩელის მეორე თავში უკვე განიმარტა სადავო კანონიდან მომდინარე დეფინიციებისა და რეესტრის მასტიგმატიზირებელი ეფექტი, ისევე როგორც კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა

რეპრესიული მექანიზმების გავლენა (მედია)ორგანიზაციების საქმიანობასა და მათ ზოგად ფუნქციონირებაზე. ერთიანობაში, სადავო ნორმები მედიას/გაერთიანებას აიძულებს რეგისტრაციას მასტიგმატიზირებელ რეესტრში, ან იძულებს წესით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საშუალებით, ახდენს მათ რეგისტრაციას, არქმევს რეკუტაციის შემლახველ სახელს, ღიად ტოვებს სრულიად დაუსაბუთებელი და ბუნდოვანი მონიტორინგის პროცედურებისთვის და ნებისმიერი ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისთვის, ითვალისწინებს განსაკუთრებით მაღალი ოდენობის ჯარიმებს. ამგვარი სამართლებრივი სისტემით, კანონმდებელი გაერთიანების შექმნის მსურველ ნებისმიერ პირს/პირთა ჯგუფს აიძულებს, არჩევანი გააკეთოს მისი და მისი საქმიანობის მასტიგმატიზირებელი სახელის ქვეშ ფუნქციონირებასა და გაერთიანების დაფუძნებაზე საერთოდ უარის თქმას შორის. კონსტიტუციით ადამიანებისთვის მინიჭებული გაერთიანების შექმნის თავისუფლება ხდება პირობადებული და ამ გადაწყვეტილების ფარგლებში, ადამიანები აღარ არიან თავისუფალნი, ვეღარ მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი სურვილებისა და მისწრაფებების შესაბამისად.

დაცული სფეროს განმარტებისას აღინიშნა თუ რამხელა გავლენა აქვს გაერთიანებისთვის მინიჭებულ მასტიგმატიზირებელ იარაღებს თავად ამ (მედია)ორგანიზაციაში დასაქმებული ინდივიდებისთვის. ეს უკანასკნელი და მათი საქმიანობა არანაკლებ ექვევა ამგვარი რეკუტაციის შემლახველი ტერმინის მოქმედების სფეროში. ამ პირობებში, ბუნებრივია, მოქმედი (მედია)ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვნად რთულდება საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო კადრების მოძიება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მის ფუნქციონირებას. ორგანიზაციაში დასაქმებული ნებისმიერი პირი, საჯარო თუ საქმიანობის ფარგლებში სხვა ტიპის მონაწილეობის მიღებისას, პოზიციონირებს ამ ორგანიზაციის სახელით. ბუნებრივია, თითოეული ამ პირისთვის დამსაქმებელი ორგანიზაციისთვის მინიჭებული მასტიგმატიზირებელი იარაღი ანალოგიური ეფექტის მატარებელია როგორც პროფესიულ და სამსახურებრივ საქმიანობაში, ასევე — კარიერული ცხოვრების წარმართვისას. ამ პირობებში კი, რთული წარმოსადგენი არ არის, რომ მსგავს რეალობაში, მედიასა და სამოქალაქო ორგანიზაციებში დასაქმების მსურველთა რიცხვი მნიშვნელოვნად მცირდება, რაც საბოლოოდ რადიკალურად ამცირებს ამ ორგანიზაციის უნარს, მოიძიოს კონკურენტუნარიანი პროფესიონალი კადრები.

დისკრედიტირებული სახელის ქვეშ რეესტრში რეგისტრირებული ორგანიზაციისთვის ამგვარი სტიგმის მოქმედება არამხოლოდ მის საკადრო პოლიტიკაზე აისახება. როგორც უკვე აღინიშნა, ნებისმიერი გაერთიანებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი საქმიანობის სივრცეში სხვა ორგანიზაციებთან, პარტნიორებთან, კონტრაქტორებთან თუ ქვეკონტრაქტორებთან, აგრეთვე სახელმწიფო უწყებებთან და სხვა ქვეყნის ანალოგიურ სუბიექტებთან ურთიერთობა, დამყარებული საქმიანი კავშირები და პარტნიორობა. სადავო ნორმებით კი ხდება ორგანიზაციის სრული დისკრედიტაცია, მისი აღქმა როგორც არა დამოუკიდებელი, სამართლის თავისუფალი სუბიექტის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მისი დამფინანსებლის ინტერესების შესაბამისად მოქმედი გაერთიანების. ამ პირობებში, მის მიმართ სანდოობა აგრეთვე აისახება მის გარე სამსახურებრივ ურთიერთობებზე, რომლებზეც თავის მხრივ მოქმედებს მსუსხავი ეფექტი, დისკრედიტირებულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, არ მოხდეს მისი ანალოგიურად აღქმა სხვა პარტნიორთა თუ საზოგადოების თვალში.

ამასთან, სადავო ნორმებით განსაზღვრული მონიტორინგის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია, მოიძიოს მოსარჩელე ორგანიზაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის, ინფორმაცია რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს ან სულ მცირე შეიცავდეს პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ სუბიექტის შესახებ მონაცემს. ბუნებრივია, ამგვარი დაუცველობა სამსახურებრივი ურთიერთობის შემცველ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ნებისმიერ პირს (იქნება ეს ფიზიკური პირი თუ სხვადასხვა ტიპის გაერთიანება) უზიძგებს, საერთოდ თავი შეიკავოს მსგავსი ურთიერთობების დამყარებისაგან ან/და თავი დაიცვას ამ ფორმით არასასურველი და

არასაჭირო საჯაროობისაგან. ასევე, მასტიმპატიზირებელი სტატუსის მინიჭება მნიშვნელოვნად შეამცირებს საზოგადოების ნდობას მედიის მიმართ, დამანგრეველად აისახება მომხმარებლის/მაცურებლის დამოკიდებულებაზე კონკრეტული მედიაორგანიზაციასთან დაკავშირებით და გამოიწვევს როგორც კომერციული, ისე არაკომერციული შემოსავლების დაკარგვას/შემცირებას.

სადავო ნორმების მოქმედების პირობებში, ნებისმიერი (მედია)ორგანიზაცია იძულებული ხდება, ეძებოს დაფინანსების ალტერნატიული წყაროები, თუკი სურს, თავიდან აიცილოს რეპუტაციის შელახვა. თუმცა, ამ კუთხითაც, ერთი მხრივ, გარკვეული სპეციფიკის მქონე ორგანიზაციებისთვის ეს შესაძლებლობა საერთოდ არ არსებობს (ე.წ. watchdog ორგანიზაციები, რომელთათვისაც ნებისმიერი ადგილობრივი წყაროდან მიღებული შემოსავალი შესაძლოა მისი საქმიანობის დამოუკიდებლობას და მის მიმართ სანდოობას სრულიად აყენებდეს ეჭვქვეშ; ან თუნდაც ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობის სფეროც ადგილობრივი კონტექსტისთვის არ არის პრიორიტეტული, და სხვ.), ხოლო, მეორე მხრივ, მათი არსებობის შემთხვევაშიც, დაფინანსებისთვის არსებული სივრცე და რესურსები მნიშვნელოვნად მცირდება. მოსარჩელე ორგანიზაციების მსგავსი გაერთიანებებისთვის უცხოური დაფინანსება არის სასიცოცხლო მნიშვნელობის, ვინაიდან არ არსებობს მისი ჩამნაცვლებელი ადგილობრივი რესურსი ან თუნდაც მიმსგავსებული მიზნობრიობისა და ოდენობის დაფინანსების მიღების ლოკალური შესაძლებლობა.

ყველა ზემოხსენებული ასპექტი, მოსარჩელებისა და მათი მსგავსი ორგანიზაციის მხრიდან მოითხოვს საკუთარი საქმიანობის, არსებული რესურსებისა და დაფინანსების სადავო კანონით შექმნილ რეალობაზე მორგებას, მასში კორექტირებას და არ ტოვებს შესაძლებლობას, ორგანიზაციამ საკუთარი აქტივობები ისე განახორციელოს, როგორც ამას სადავო ნორმების არარსებობის პირობებში, თავისუფალი ნების საფუძველზე გააკეთებდა.

ამ ნაწილში განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს კანონით ჩამოყალიბებული ჯარიმების სისტემა, ვინაიდან ეს არ არის უბრალოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამ მტკიცებაში მოსარჩელე მხარე მოიაზრებს შემდეგ რეალობას: კანონიდან მომდინარე საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან დაკავშირებული კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობა, კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ ორგანიზაციას დააკისრებს დაახლოებით 255 000 ლარის ოდენობით ჯარიმას (25 000 ლარი რეგისტრაციისგან თავის არიდებისთვის + 10 000 ლარი დეკლარაციის წარუდგენლობისთვის + ყოველთვიურად 20 000 ლარი დეკლარაციის წარუდგენლობის განმეორებით, ყოველ მომდევნო თვეს წარუდგენლობისთვის). იშვიათია და წარმოუდგენელია არაკომერციული მიზნით შექმნილ ორგანიზაციას, რომლის შემოსავალიც სრულად გრანტებზეა დამოკიდებული, ხოლო შემოსავლის 100% მიზნობრიობითაა გაცემული შესაბამისი დონორი ორგანიზაციის მიერ, გააჩნდეს ამ ოდენობით დამატებითი ფინანსები, რომლის ჯარიმების დასაფარად მიმართვასაც შეძლებდა. შესაბამისად, მათი თუნდაც ნაწილის გადაუხდელობა, საბოლოოდ გარდაუვლად გახდება ორგანიზაციის მიმართ იძულებითი აღსრულების პროცესის დაწყების საფუძველი, რაც საბოლოოდ ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებისა და მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ქონების დაყადაღებას, საბოლოოდ კი — მის ლიკვიდაციას გამოიწვევს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საჯარო სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის უპირველესი წინაპირობაა ამ ქმედების საზოგადოებრივი გაკიცხვადობა. მიგვაჩნია, რომ ლეგიტიმური საქმიანობისთვის ღირსების შემლახავი იარაღის მიწებების ვალდებულებისთვის თავის არიდება არ წარმოადგენს საზოგადოებრივად გასაკიცხ ქმედებას და მისთვის არათუ ჯარიმების მითითებული ოდენობისა და ინტენსივობის გათვალისწინება, არამედ სიმბოლური შენიშვნის განსაზღვრაც კი, მოსარჩელეთა უფლებების დამრღვევია. აღსანიშნავია, რომ სადავო ნორმები შესაძლებლობას იძლევა, მოცემული ჯარიმები გამოყენებულ იქნას ბოროტად და

თვითნებურად. ეს რისკი განსაკუთრებით მაღალია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კონტექსტში, რომელთათვისაც მასტიგმატიზირებელი სტატუსის მინიჭების საკითხი წყდება უცხოური დაფინანსების პროცენტული წილით „არაკომერციულ შემოსავალში“, რომელის განმარტებასაც კანონმდებლობა არ ცნობს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმებით დადგენილი რეგულაციებით ხდება საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტითა და მე-17 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული გაერთიანების და მედიის თავისუფლებით დაცული სფეროს სხვადასხვა უფლებრივ ასპექტში ჩარევა.

4.3.3. (მედია)ორგანიზაციის არსებული ინფორმაციის უსაფრთხოება

ზემოთ განმარტებული სადავო ნორმების კვალდაკვალ, გაერთიანების/მასობრივი ინფორმაციის თავისუფლებაში ჩარევას განსხვავებული ასპექტით ავლენს სადავო კანონის ის დებულებები, რომლებიც ითვალისწინებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებას, ნებისმიერი პირისგან თუ ორგანიზაციისაგან (იგულისხმება პირთა ნებისმიერი ფორმის გაერთიანება) გამოითხოვოს „საჭირო“ ინფორმაცია, პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი, აგრეთვე, ნებისმიერი სახის საიდუმლო (გარდა სახელმწიფო საიდუმლოებისა) ინფორმაცია. ამასთან, ამ მოთხოვნის ადრესატი ვალდებულია, შესაბამის უფლებამოსილ პირს მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია. ამ ვალდებულების დარღვევისთვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა 5 000 ლარიანი ჯარიმის სახით. ამ ნორმებს განეკუთვნება სადავო კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მესამე და მეოთხე წინადადებები, მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი და მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი.

დასახელებული მუხლების შინაარსში განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ ამგვარი ინფორმაციის ადრესატი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით. კერძოდ, ადრესატი შესაძლოა იყოს არა უშუალოდ მონიტორინგს დაქვემდებარებული და „შესამოწმებელი“ ორგანიზაცია, არამედ ნებისმიერი სხვა, მასთან რაიმე სახის კონტაქტში მყოფი ფიზიკური პირი თუ გაერთიანება, მათ შორის, დონორი ორგანიზაცია, მისი ცალკეული თანამშრომელი და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ორგანიზაციის მიმართ მისი ე.წ. მომხმარებლების, ბენეფიციარების მხრიდან სანდოობაზე. როდესაც კონკრეტული სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციაზე ვსაუბრობთ, მიუხედავად გაწეული სერვისის სპეციფიკისა, განსაკუთრებით მტკივნეულია სერვისის მიმღები ბენეფიციარების პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი. კერძოდ, ნებისმიერი პირი, რომელიც რაიმე სახის სერვისს იღებს, იქნება ეს სამედიცინო, სამართლებრივი, ფულადი, თუ სხვა სახის დახმარება, ორგანიზაციას უზიარებს შესაბამისი მიზნისთვის საჭირო, ან ორგანიზაციის მიერ დონორთან ანგარიშგების ვალდებულებიდან გამომდინარე აუცილებელ პერსონალურ მონაცემს. ამგვარი მონაცემი, შესაძლოა მრავალგვარი იყოს, მათ შორის, ადვილი წარმოსადგენია ამ მონაცემებში იმგვარი ინფორმაციის მოცვა, რომელიც, განეკუთვნება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს, რაც თავისი არსით, ადამიანის განსაკუთრებულად პრივატული სფეროს ნაწილია. სერვისის მიმწოდებელი ნებისმიერი ორგანიზაცია გარკვეული მასშტაბის პერსონალურ მონაცემთა დამმუშავებელი სუბიექტია, რომელიც ინახავს და მხოლოდ საჭიროების შესაბამისად/ფარგლებში ამუშავებს ამ მონაცემებს.

შესაბამისად, თითოეული ორგანიზაციის ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი პრინციპია, ნებისმიერი სერვისის მიმღები ადამიანის (ბენეფიციარის, წყაროს, მამხილებლის) მოლოდინი, რომ ამ უკანასკნელის მიერ ორგანიზაციისთვის გაზიარებული ინფორმაცია არის სრულად დაცული, არ არსებობს მისი

გასაჯაროების, არასწორად დამუშავების ან/და ბოროტად გამოყენების რისკი. თითოეულ ადამიანს ამგვარი მოლოდინი სწორედ ორგანიზაციის მიმართ სანდოობის გათვალისწინებით უჩნდება. სწორედ სერვისის მიმღები განსაზღვრავს, თუ რომელი ორგანიზაციაა მისთვის იმ ხარისხით სანდო, რომ სენსიტიური ინფორმაცია გაუზიაროს.

აღნიშნულის საპირისპიროდ, სადავო ნორმების მოქმედება ქმნის ნორმატიულ რეალობას, როდესაც სერვისის მიმწოდებელ არც ერთ ორგანიზაციას აღარ შესწევს უნარი, ადეკვატურად, მისთვის გამოცხადებული ნდობის შესაბამისად, დაიცვას მისთვის მინდობილი პერსონალური ინფორმაცია. მეტიც, სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელი ხდება არა მხოლოდ საკუთრივ ამ ორგანიზაციის მიმართ მიმდინარე მონიტორინგის, არამედ, თუნდაც სხვა ორგანიზაციის მიმართ მიმდინარე შემოწმების ფარგლებში. ინფორმაციის მიუწოდებლობა კი, ყოველგვარი ობიექტური და ნეიტრალური არბიტრის მიერ საკითხის შესწავლის გარეშე, უკავშირდება ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას — ჯარიმას. ამასთან, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ამგვარი ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან თავის არიდების საშუალებას არ წარმოადგენს მადისკრედიტირებელ რეესტრში ნებაყოფლობითი რეგისტრაცია, რადგან ეს უკანასკნელი არ გამორიცხავს არც მონიტორინგს და არც მონიტორინგის გარეშე ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე სახელმწიფოს მოთხოვნას.

ამ რეალობაში, ორგანიზაციისთვის ერთადერთი მოსალოდნელი შედეგი ბენეფიციარებში სანდოობის სრული განადგურებაა. მოლოდინი იმისა, რომ ორგანიზაცია ვერ შეძლებს პერსონალური მონაცემების დაცვას, განსაკუთრებული სიმძიმით აისახება არაერთ სენსიტიურ სფეროზე, მაგალითად, ოჯახში, ქალთა და არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში ეფექტური დახმარების გაწევაზე და მასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობაზე.

ნდობის თვალსაზრისით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სადავო ნორმების გავლენა ჟურნალისტური წყაროს ან/და მამხილებლის ინსტიტუტზე. როგორც მედიისგან, ასევე სამოქალაქო ორგანიზაციებისგან ნებისმიერი ინფორმაციის გამოთხოვის უფლებამოსილების განსაზღვრას არსებითად ნეგატიური ეფექტი ექნება მამხილებლების და ინფორმაციის წყაროების მიერ მედიის და სამოქალაქო საზოგადოების მიმართ გამოხატულ ნდობაზე, რაც, დამატებით, გამოიწვევს „საზოგადოებრივი დარაჯის“ ფუნქციის განხორციელების თვისობრივ შეფერხებას.

მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ ეს არის უფლებრივი სფეროს ის კომპონენტი, რომელიც დაცულია როგორც გაერთიანების თავისუფლებით, ასევე მასობრივი ინფორმაციის თავისუფლებით და რომელშიც ჩარევა სადავო ნორმების საფუძველზე ხდება.

4.3.4. კანონის დროში მოქმედების განმსაზღვრელი ნორმები

მოცემულ სარჩელში უკვე განიმარტა სადავო კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსი. გაერთიანების თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის წარმოჩენისთვის, მხოლოდ იმის განმარტებით შემოვიფარგლებით, რომ სწორედ ამ ნორმების საშუალებით, ყველა ზემოთ მითითებული სადავო ნორმა, მისით გათვალისწინებულ ნორმატიულ რეალობას მოსარჩელე ორგანიზაციებისთვის აყენებს არა 2025 წლის იანვრიდან, არამედ — 2024 წლის სექტემბრიდან. შესაბამისად, ამ ნორმების საფუძველზე ხდება უფლებაში ჩარევის დროით სივრცეში დაჩქარება და მათი რეალური ამოქმედება მიმდინარე წელს.

წარმოდგენილი არგუმენტაცია ცხადყოფს, რომ სადავო ნორმები, ლეგიტიმური მიზნის გარეშე, ინტენსიურად ზღუდავს გაერთიანების თავისუფლებით დაცულ სფეროს, რაც აშკარად არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლს, მე-17 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებს.

5. გამოხატვის თავისუფლება: საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი, მე-2 პუნქტები და მე-5 პუნქტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი იცავს აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლებას, აცხადებს რა დაუშვებლად ადამიანის დევნას აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულია ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „საქართველოს კონსტიტუციის [მე-17] მუხლით დაცული უფლება „მსუსხავ ეფექტს „განიცდის, თუ პირი, მოსალოდნელი სანქციის შიშით, იძულებულია თავი შეიკავოს უფლების სრულყოფილად განხორციელებისაგან და თვითშეზღუდვა აისახება გამოხატვის თავისუფლების ნორმატიულად შეუზღუდავ ნაწილზე“. „მსუსხავი ეფექტის“ გავლენით ნორმის ზემოქმედება გამოხატვის თავისუფლების რეალიზებაზე შესაძლებელია გასცდეს მისი რეგულირების სფეროს და ფაქტობრივად შეზღუდოს ის ურთიერთობები, რომელთა მოწესრიგებაც კანონმდებლის მიზანს არც კი წარმოადგენდა. გამოხატვის თავისუფლების სფეროს ამგვარად რეგულირებამ შესაძლებელია გამოიწვიოს საზოგადოების გაუმართლებელი ჩაკეტვა, მისი მოქმედების თავისუფლების თვითშეზღუდვა, აიძულოს ადამიანები, მოახდინონ თვითცენზურა გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროს იმ ნაწილში, რომლის შეზღუდვის აუცილებლობაც არ არსებობს, რაც, თავისთავად, ამ უფლების არათანაზომიერად შეზღუდვის ტოლფასია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-8).

მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმებს აქვთ „მსუსხავი ეფექტი“ ქართული სამოქალაქო ორგანიზაციების/მედიის გამოხატვის თავისუფლების სრულფასოვან რეალიზაციაზე. კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა, სადავო ნორმები, „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის“ იარლიყის მინიჭების გზით, ახდენენ ქართული სამოქალაქო ორგანიზაციების დისკრედიტირებას და გამორიცხავენ მათი საქმიანობის წარმართვას ამგვარი იარლიყის გარეშე (იხ. ქვეთავი 2.1.) და ახდენენ ლეგიტიმური, კონსტიტუციით დაცული საქმიანობის დისკრედიტაციას. გარდა ამისა, კონსტიტუციურ სარჩელში ასევე დასაბუთდა აღმასრულებელი ხელისუფლების ხელთ არსებული „მონიტორინგის მექანიზმის“ რეპრესიული ბუნება, რაც გამოიხატება მონიტორინგის შედეგად მისაღები ინფორმაციის შინაარსობრივი ზღვრის, სამიზნე ადრესატთა განსაზღვრებადი წრის არარსებობასა და სხვა ექსცესიურ უფლებამოსილებებში (იხ. ქვეთავი 2.2).

შესაბამისად, ამგვარი სტიგმატიზებისა და სადავო კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების პირობებში, აღმასრულებელი ხელისუფლებას დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობაში ჩარევის განუსაზღვრელი უფლებამოსილება ენიჭება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამიზნე ორგანიზაციების გამოხატვის თავისუფლების შინაარსის მიხედვით. აღნიშნული კი მეტყველებს სადავო ნორმების რეალურ მიზანზე — ქართულ სამოქალაქო ორგანიზაციებსა და მედიაში დანერგოს განცდა, რომ მათ მიერ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის ნებისმიერი აქტი, შესაძლოა, აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან რეპრესიული მექანიზმების ამოქმედების საფუძველი გახდეს. სადავო კანონი კი სწორედ ამგვარი კონკრეტული მექანიზმების არსებობას უზრუნველყოფს. შედეგად, სადავო ნორმები შესაბამის ორგანიზაციებს ნორმა მუდმივ წნეხში ამყოფებს, რაც იწვევს „მსუსხავ ეფექტს“ მათი გამოხატვის თავისუფლებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სადავო ნორმები ერთი შეხედვით, გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივ მხარეს საერთოდ არ არეგულირებს, მსუსხავი ეფექტის გამომწვევი გარემოება მხოლოდ ბუნდოვანი შინაარსობრივი რეგულირებით არ შემოიფარგლება. სადავო კანონის რეალური მიზანი, რომელიც კონსტიტუციური სარჩელის მე-3 თავში განიმარტა, მისი რეგულირების ობიექტებისთვის ერთგვარი მუქარის შინაარსის მატარებელია, თუ ისინი ისარგებლებენ გამოხატვის თავისუფლების იმგვარი ფორმებითა და შინაარსით, რომელიც პოლიტიკური ხელისუფლებისთვის შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს.

აღნიშნულის დასტურია არაერთი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირის მითითება, რომ სადავო კანონის მიღება, სხვა მიზეზებთან ერთად, სამოქალაქო სექტორის მიერ საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გამოწვევებზე საუბარმა განაპირობა. მაგალითად, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ქართულ სამოქალაქო ორგანიზაციებს [ბრალი დასდო](#) სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაციის სისტემურ მცდელობაში, ხოლო მათ მიერ სასამართლო და სამართალდამცავ სისტემაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებული გაჟღერებული კრიტიკული აზრი — სახელმწიფო ინსტიტუტებზე თავდასხმად შერაცხა, რასაც მისივე თქმით „*ენჯელები*“ ვერ გაბედავდნენ სადავო კანონის მოქმედების პირობებში“. სწორედ მსგავსი განცხადებები მიუთითებს ხელისუფლების რეალურ მიზანზე — ზეგავლენა მოახდინოს ქართულ სამოქალაქო ორგანიზაციებზე/მედიასაშუალებებზე, რათა ამ უკანასკნელმა თავი შეიკავოს კრიტიკული აზრის გამოთქმისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის წინააღმდეგ გამოყენებული იქნება სადავო კანონით გათვალისწინებული რეპრესიული მექანიზმები.

განსახილველ შემთხვევაში, იმდენად აშკარად იკვეთება სადავო ნორმების მიღების რეალური მოტივაცია (ქართული სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიის კრიტიკული/არასასურველი აზრის ჩახშობა), რომ გაუმართლებელი იქნებოდა სადავო რეგულირების შედეგად მოსარჩელე ორგანიზაციების გამოხატვის თავისუფლებაზე „მსუსხავი ეფექტის“ უგულვებელყოფა. აღნიშნულზე მიუთითებს არა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების ხელთ არსებული ცალკეული საკანონმდებლო მექანიზმების უკონტროლო და რეპრესიული ბუნება, არამედ სადავო კანონში გამოყენებული ტერმინოლოგია, მათი აღქმადობა საზოგადოებაში, იარლიყის მინიჭების სრულიად უსაფუძვლო და სტერეოტიპული მიდგომა, რაც, საბოლოო ჯამში, სადავო ნორმების რეალურ მიზანს ცხადყოფს. შესაბამისად, ყველა ხსენებული გარემოება, ერთობლიობაში, იძლევა გონივრული დასკვნის საფუძველს, რომ სადავო რეგულირებას ექნება „მსუსხავი ეფექტი“ მოსარჩელეთა გამოხატვის თავისუფლებაზე.

თავის მხრივ, მედიისა და სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის გამოხატვის თავისუფლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან მათი საქმიანობის მთელი იდეა აღნიშნული უფლების სრულფასოვან რეალიზაციას ეფუძნება. შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობის მიღმა არ უნდა დარჩეს სადავო ნორმების ეფექტი მედიისა და სამოქალაქო ორგანიზაციების ისეთ მნიშვნელოვან უფლებრივ კომპონენტზე, როგორც არის გამოხატვის თავისუფლება და მასზე სადავო ნორმებიდან მომდინარე „მსუსხავი ეფექტის“ გავლენა.

ამასთანავე, კონსტიტუციურ სარჩელში უკვე დასაბუთდა, რომ სადავო ნორმების რეალური მიზანი სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიის კრიტიკული და არასასურველი აზრის ჩახშობაა. ამასთან, სადავო კანონში არსებულმა რეპრესიულმა მექანიზმებმა, შესაძლოა, შედეგად გამოიწვიოს მოსარჩელე ორგანიზაციების ლიკვიდაცია ან/და საქმიანობის ფაქტობრივი შეჩერება. აქედან გამომდინარე, მივდივართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ ადგილი აქვს დევნას აზრისა და მისი გამოხატვის გამო, რასაც საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება დაუშვებლად აცხადებს.

ამრიგად, სადავო ნორმებს აქვთ „მსუსხავი ეფექტი“ სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიის გამოხატვის თავისუფლებაზე, რაც მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტებით დაცული უფლების დარღვევაზე.

III

შუამდგომლობები შენიშვნა⁷

1. შუამდგომლობა მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის მოწვევის თაობაზე

2. შუამდგომლობა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე

მოთხოვნა: საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, შეჩერდეს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-4 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-5 მუხლის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების, მე-9 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებისა და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება.

2024 წლის 4 სექტემბრიდან, აღმასრულებელ ხელისუფლებას, კერძოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, მიენიჭება მონიტორინგის დაწყების უფლებამოსილება, რაც მოსარჩელე მხარეს დააყენებს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში“ (იძულებითი) რეგისტრაციის, ჯარიმების დაკისრების, გამოუსწორებელი ზიანის და შედეგად, საქმიანობის შეწყვეტის საფრთხის წინაშე. შესაბამისად, არსებობს საქართველოს კონსტიტუციის მითითებული უფლებების გამოუსწორებელი დარღვევის საფრთხე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რომლის დაცულ სფეროშიც, თავის მხრივ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებაც ექცევა. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N3/2/577, პარ. II-30). სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილია ამ უფლების სუბიექტის შესაძლებლობა, ჰქონდეს და ისარგებლოს პროცესუალური მექანიზმებით, რომელთა გამოყენებითაც შეძლებს უფლებით ეფექტურად სარგებლობას, რაც მათ შორის, მოიცავს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, მდგომარეობის იმგვარად გაუარესების პრევენციას, რომელსაც სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაც კი ვერ აღმოფხვრის. სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების ინსტრუმენტი. „სადავო აქტის მოქმედების შეჩერება წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან პრევენციულ უფლებადაცვით მექანიზმს და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტიანობას“ (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N3/2/577, პარ. II-35).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკანასკნელი 18 თვის (01.01.2023 - 30.06.2024) განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი მიუთითებს, რომ სასამართლოს სარჩელის რეგისტრაციიდან ამ სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდი დაახლოებით 4 წელს (3.97) შეადგენს. (იხ. შესაბამისი გადაწყვეტილებების [ბმული](#)). გადაწყვეტილების მიღების მინიმალური პერიოდია 9, ხოლო მაქსიმალური 103 თვე. განსახილველ საქმეში, სადავო ნორმიდან

⁷ საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა მოსარჩელეს ანიჭებს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის სხვადასხვა ტიპის შუამდგომლობით მიმართვის შესაძლებლობას. წარმოდგენილ ველში შეგიძლიათ დააყენოთ შესაბამისი შუამდგომლობები. შუამდგომლობის წარმოდგენის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ მისი საფუძვლიანობის დამადასტურებელი არგუმენტები, ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

მომდინარე გამოუსწორებელ ზიანი თავიდან ვერ იქნება აცილებული ვერც 9, მით უმეტეს 103 თვეში გადაწყვეტილების მიღებით. ამდენად მიგვაჩნია, რომ სახეზეა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს კანონის 25 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტის გამოყენების ყველა წინაპირობა.

6.1. გამოუსწორებელი ზიანი: უნდა დადგინდეს შეიცავს თუ არა სადავო ნორმების მოქმედება გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საფრთხეს

განსახილველი კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში, სასამართლოსთვის უკვე წარმოდგენილია არგუმენტაცია შუამდგომლობის ამ ნაწილისთვის მნიშვნელოვან ძირითად გარემოებებზე. კერძოდ, წინამდებარე სარჩელის 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.8 და 2.9 ქვეთავები, ასევე მე-5 თავი მიუთითებს, რომ სადავო ნორმების აღსრულება გამოიწვევს მოსარჩელე მხარის საქმიანობის თავისუფლების გამოუსწორებელ დარღვევას, მისი დისკრედიტაციისა და სხვადასხვა რეპრესიული მექანიზმების გამოყენებით, რომელმაც, შესაძლოა, მოკლევადიან პერიოდში, ორგანიზაციის ლიკვიდაციაც კი გამოიწვიოს, რაც მთლიანობაში გამოიწვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-5 პუნქტებისა და 22-ე მუხლით დაცული უფლების გამოუსწორებელ დაზიანებას.

2024 წლის 4 სექტემბრიდან, სადავო კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, აღმასრულებელ ხელისუფლებას შეეძლება დაიწყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ქართული ორგანიზაციების, მათ შორის, მოსარჩელების მონიტორინგი. მონიტორინგის დაწყების ერთერთ საფუძველად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილი თანამშრომლის გადაწყვეტილებაა განსაზღვრული, ხოლო აღნიშნული გადაწყვეტილების მართლზომიერების შემოწმების კრიტერიუმში ან რამე დამაბრკოლებელი გარემოება კანონში არ გვხვდება. სხვაგვარად, აღმასრულებელ ხელისუფლებას შეუძლია დაიწყოს მონიტორინგი ნებისმიერი ორგანიზაციისა და მედიასაშუალების მიმართ ნებისმიერ დროს. მონიტორინგის დაწყება, თავის მხრივ, გამოიწვევს კანონის რეპრესიული მექანიზმების სრული მასშტაბით ამოქმედების შესაძლებლობას. ამ მექანიზმთა „მოქნილობა“ და ბოროტად გამოყენების პოტენციალი, ისევე როგორც მონიტორინგის მომწესრიგებელი ვადებისა და პროცედურების ნაკლოვანება, მოსარჩელეთათვის ჯარიმების დაკისრების რეალურ შესაძლებლობას იძლევა. ორგანიზაციას, რომელიც შეეცდება თავისი უფლებების დაცვას და უარს იტყვის მასტიგმატიზირებელ და ღირსების შემლახავ რეესტრში რეგისტრაციაზე, 2024 წლის ბოლომდე, დაახლოებით 95 000 ლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრება.

უპირველესად, წინამდებარე სარჩელით ეჭვქვეშა დაყენებული აღნიშნული ჯარიმების ლეგიტიმურობა, ვინაიდან იგი კონსტიტუციით განსაკუთრებულად დაცულ ლეგიტიმურ საქმიანობას აცხადებს „საზოგადოებრივად გასაკიცხ ქმედებად“. მეტიც, ჯარიმის დაკისრების რისკის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ მასტიგმატიზირებელ რეესტრში რეგისტრაციით, თუმცა, ესეც კი სრულად არ ხსნის ჯარიმის დაკისრების საფრთხეს (იხ. ქვეთავი 2.4 და ქვეთავი 2.6.).

შემჭიდროვებული ვადების გათვალისწინებით, სადავო ნორმები მოკლე დროში გამოიწვევს ჯარიმების აღსასრულებლად მიქცევას, ხოლო მოსარჩელე ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნული ჯარიმების გადახდას ვერ შეძლებს თანხების არარსებობის ან/და მათი „ჯარიმის გადახდის მიზნით“ განკარგვის შეუძლებლობის მიზეზით (იხ. ქვეთავი 2.2. და 2.3.). მთლიანობაში, საქმე მიექცევა აღსასრულებლად, რასაც, შედეგად, შეიძლება ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერება მოჰყვეს, მასში დროებითი მმართველის შეყვანა და საბოლოოდ ლიკვიდაცია/რეგისტრაციის გაუქმებაც კი. მნიშვნელოვანია, განსაკუთრებულად გამოიყოს მესამე პირების დაჯარიმების შესაძლებლობა. ეს

ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ორგანიზაციის თანამშრომლების, ასევე ორგანიზაციების საქმიან პარტნიორთა მიმართაც.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების ვადებისა და სადავო კანონის შინაარსიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების ფარგლებში გამოცემული ინდ.აქტები და სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ქმედებები განხორციელდება, ძალაში შევა, აღსრულდება და საკუთარ დამაზიანებელ ეფექტებს გამოიწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

სადავო ნორმები არამხოლოდ იძლევა მოსარჩელეთა უფლებების გამოუსწორებლად დარღვევის შესაძლებლობას, არამედ როგორც წინამდებარე სარჩელის მე-3 თავში დასაბუთდა, სწორედ ამგვარი გამოუსწორებელი შედეგების გამოწვევაა სადავო ნორმების რეალური საჯარო „ლეგიტიმური“ მიზანი. ეს გარემოება, დამატებით ცხადყოფს სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების საჭიროებას.

ამასთანავე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განსაკუთრებულად გამოვკვეთოთ სადავო ნორმების მასტიგმატიზირებელი და გამოუსწორებელი ზიანის სიმწვავე სხვადასხვა პროფილის მქონე ორგანიზაციების მიმართ, რომელიც შესაძლოა, განსხვავებულ ფორმებში იყოს გამოხატული, მათი საქმიანობის განსხვავებულ ასპექტებზე ახდენდეს გავლენას, თუმცა შედეგად თანაბრად იწვევდეს გამოუსწორებელ შედეგს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებისთვის.

არჩევნები და არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციები;

გამოუსწორებელი ზიანის საფრთხე განსაკუთრებით მწვავეა 2024 წლის ოქტომბერში გასამართი საპარლამენტო არჩევნების დაკვირვებაში ჩართული ორგანიზაციებისთვის. აღსანიშნავია, რომ ეს ორგანიზაციები შეცვლილი რეალობის წინაშე არჩევნებამდე 5 თვით ადრე აღმოჩნდნენ (კანონი პარლამენტმა 2024 წლის 28 მაისს მიიღო, ხოლო საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა — 3 ივნისს), როდესაც მათ არჩევნებისთვის სადამკვირვებლო მისიისთვის მზადება დაწყებული ჰქონდათ.

სადამკვირვებლო მისიის განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის სადავო ნორმებიდან მომდინარე გამოუსწორებელი შედეგები მნიშვნელოვანია რამდენიმე კრიტიკული მიმართულებით, რაც თავის მხრივ უკავშირდება სადავო კანონის მასტიგმატიზირებელ/რეპუტაციულად დამაზიანებელ ეფექტს, ორგანიზაციასთან დაკავშირებული და მასში არსებული ინფორმაციის სრულ ხელმისაწვდომობას, ისევე როგორც, ორგანიზაციის მოწყვლადობას მომახრჩობელი ფულადი ჯარიმების მიმართ. თითოეული ეს და ქვემოთ უფრო დეტალურად წარმოჩენილი ასპექტი განსაკუთრებით მტკივნეულია, რამდენადაც საუბარია არა სამომავლო საფრთხეებზე, არამედ ამავე წლის ოქტომბრის ბოლოს ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნებამდე, მხოლოდ 2 თვით ადრე არსებულ რისკებზე. ამგვარი გამოუსწორებელი შედეგები, ცალ-ცალკე და კუმულატიურად, ასე გამოიყურება:

„უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ რეგისტრირება ან რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში იძულებითი რეგისტრაცია და ორგანიზაციის ამგვარ სტატუსთან ასოცირება გაართულებს არჩევნებზე დაკვირვებისთვის საჭირო რამდენიმე ათასი დამკვირვებლის მოზიდვას. დიდია იმის ალბათობა, რომ მასტიგმატიზირებელმა სტატუსმა „მსუსხავი ეფექტი“ იქონიოს პოტენციურ დამკვირვებლებზე, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ასეთ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ნეგატიურ გავლენას მოახდენს მათ კარიერულ განვითარებაზე. სტიგმის გამო სადამკვირვებლო მისიებთან

თანამშრომლობაზე „მსუსხავ ეფექტს“ დამატებით აღრმავებს მისიების ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობის მოლოდინის დაკარგვაც.

სადამკვირვებლო მისიის ორგანიზება და განხორციელება კომპლექსური პროცესია, რომელიც მოითხოვს მნიშვნელოვანი ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზებას, მათ შორის ათასობით დამკვირვებლის რეკრუტირებას, გადამზადებას, ანაზღაურებასა და ტრანსპორტირებას. მასტიგმატიზირებელი ეფექტის შესამცირებლად, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში, სადამკვირვებლო ორგანიზაციები დაჯარიმდებიან, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაშიც, დაიწყება იძულებითი აღსრულების ღონისძიებები. იძულებითი აღსრულების ღონისძიებები გამოიწვევს სადამკვირვებლო ორგანიზაციის ფინანსურ პარალიზებას, რაც შეუძლებელს გახდის სადამკვირვებლო მისიის ეფექტიან განხორციელებას.

გარდა დამკვირვებელთა მოზიდვაში ხელშეშლისა, „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლის“ სტატუსი გაურთულებს დაკვირვებას უკვე რეკრუტირებულ დამკვირვებლებსაც. მაღალია ალბათობა, რომ მათ მიმართ შეიქმნას მტრული სამუშაო გარემო, ისინი იქცნენ სამიზნეებად საარჩევნო უბნებსა თუ მის გარეთ და მათ, როგორც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი“ ორგანიზაციის წარმომადგენელს, არ მიეცეთ კენჭისყრის პროცესზე სრულყოფილი დაკვირვების საშუალება.

მასტიგმატიზირებელი სტატუსის მინიჭება ორგანიზაციის მიერ მომზადებული პროდუქტების (მაგ. განცხადება, შეფასება, ანგარიში) სანდოობასაც მნიშვნელოვანი საფრთხის ქვეშ დააყენებს. კანონის მოქმედების პირობებში, ამგვარ ორგანიზაციათა მიერ გავრცელებული ნებისმიერი ინფორმაცია საზოგადოებაში „უცხოური ძალის ინტერესის გამტარის“ იარლიყის ქვეშ განხორციელდება, რაც გამოიწვევს საზოგადოების აღქმას, რომ ეს პროდუქტები მომზადებულია არა საქართველოს ინტერესებისთვის, არამედ „უცხოური ძალის“ დავალების შესასრულებლად, რაც ძირს გამოუთხრის მათ მიმართ სანდოობას. კანონით შემოსავლის (მისი 20%) წყაროს ინტერესებსა და ორგანიზაციის საქმიანობას/მიზნებს შორის ტოლობის ნიშნის დასმა, საქართველოში ობიექტურად და კეთილსინდისიერად მოქმედ სადამკვირვებლო მისიებს, წელს პირველად აიძულებს სანდოობის პრეზუმფციის შემობრუნების პირობებში მუშაობას და მათ ავტომატურად თავდაცვით პოზიციაში ჩააყენებს. ნდობის ამგვარი პრობლემების ფონზე კი, დაკნინებულია სადამკვირვებლო მისიის მიერ შექმნილი პროდუქტების პირვანდელი ფუნქციაც, დაადასტუროს/გადაამოწმოს არჩევნების სამართლიანობა და მისი შედეგების მიმართ საზოგადოებრივი ნდობა ჩამოაყალიბოს.

სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები

კონსტიტუციურ სარჩელში წარმოდგენილია არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ორგანიზაციისა და ორგანიზაციაში დაცულ ინფორმაციაზე (გარდა სახელმწიფო საიდუმლოებისა) ფაქტობრივად შეუზღუდავი წვდომა უჩნდება. ასევე, ხაზგასმით აღინიშნა ამ ასპექტის მომეტებულად მტკივნეული ბუნება იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ბენეფიციარებს გარკვეული სერვისს აწვდიან და ამ პროცესში მათ პერსონალურ, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ. ცხადად წარმოჩნდა თუ რატომ და რა გზით იწვევს ეს რეგულაცია ორგანიზაციისთვის ბენეფიციარების დაკარგვას, ან მისი საქმიანობის ფუნდამენტურად შეცვლას.

მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სარჩელის 4.2.3. ქვეთავში მითითებულია არგუმენტაცია სრულად ასაბუთებს და წარმოაჩენს იმ გამოუსწორებელ შედეგებს, რაც მოყვება ინფორმაციაზე ფაქტობრივად შეუზღუდავი წვდომის დამდგენი სადავო ნორმების მოქმედებას. მათი მოქმედების შეჩერების მოთხოვნის შუამდგომლობის ფარგლებში, მოსარჩელე მხარე დამატებით მიზანშეწონილად

მიიჩნევს იმის განმარტებას, რომ ამგვარი შედეგი მოსარჩელე ორგანიზაციებისთვის დგება იმ დღიდან, როდესაც სადავო კანონით გათვალისწინებული რეგისტრაციისთვის ორგანიზაციების მიერ განცხადების წარდგენისთვის სადავო კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 1 თვიანი ვადა ამოიწურება. კალენდარული თარიღით ეს არის 2024 წლის 4 სექტემბრიდან ნებისმიერი მომენტი.

კონსტიტუციურ სარჩელში უკვე არაერთხელ განიმარტა, რომ ინფორმაციის მოთხოვნის ადრესატები მხოლოდ მონიტორინგს დაქვემდებარებული ორგანიზაციები არ არიან. ის შეიძლება შეეხოს ნებისმიერ პირს. ამდენად, დასახელებული საფრთხე სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის უკვე რეალიზებული სახით მიმდინარე წლის 4 სექტემბრიდან გვევლინება.

შშმ - პირებისთვის სასიცოცხლო სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციები.

მოსარჩელეთა შორის არიან ორგანიზაციები, რომლებიც შშმ პირებს აწვდიან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სერვისებს. მაგალითად, შინ მოვლისა და პერსონალური ასისტენტის მომსახურებას. ამ სერვისების მიწოდებას, პირდაპირი მნიშვნელობით სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს შესაბამისი ორგანიზაციების ბენეფიციართათვის (განსაკუთრებით შინ მოვლის სერვისს), რომელიც შშმ პირებისთვის აუცილებელი სპეციფიკური, მათ შორის, სამედიცინო სერვისების ადგილზე მიწოდებას გულისხმობს. ამ სერვისების შეფერხებამ შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს კონსტიტუციის მე-10 და 28-ე მუხლით დაცული უფლებების გამოუსწორებელი დაზიანება, ისევე როგორც, შშმ პირთა მიერ საჯარო სერვისებით სარგებლობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

მამხილებლის/წყაროს კონფიდენციალურად დაცვის აუცილებლობა და ინტერესი

სადავო ნორმების შეჩერება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მოსარჩელე ე.წ. watchdog (მოდარაჯე), საჯარო ხელისუფლების განხორციელებაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანიზაციებისა და მედიაორგანიზაციების არსებობის და ფუნქციონირების შენარჩუნებისთვის. როგორც სარჩელის შესაბამის თავში აღინიშნა, მედიაორგანიზაციებთან მიმართებით, ჟურნალისტური წყაროს საიდუმლოება ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის და მედიის საქმიანობის ქვაკუთხედაა. საერთაშორისოდ აღიარებული ამ პრინციპის მიზანმიმართული, დე ფაქტო გაუქმებით, უქმდება მედიის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში. რაც შეეხება ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანიზაციებს, მათთან მიმართებით ასევე გამოსაყოფია მამხილებლის როლი და ფუნქცია, როგორც მნიშვნელოვანი წყარო კორუფციული თუ სხვა სახის დანაშაულებრივი სქემების გამოსავლენად. ამ ორივე ასპექტს, მოსარჩელე მხარე ერთიან კონტექსტში განიხილავს, რადგან ორივე მათგანის პირობებში, კონფიდენციალურობის პრინციპი არის ის ფუნდამენტი, რომლის გარეშეც თავად ეს სისტემა უბრალოდ ვერ იფუნქციონირებს.

იმისთვის, რომ (მედია)ორგანიზაციებმა განახორციელონ მათთვის დაკისრებული ფუნქცია, ხშირად, ისინი ეყრდნობიან ინფორმაციის წყაროებს, რომელსაც ვერ გაამხელენ ინფორმაციის მიმწოდებლის ვინაობის კონფიდენციალობის დაცვის მოლოდინის გარეშე. როდესაც მამხილებელს არ აქვს იმის მოლოდინი, რომ მის ვინაობას და ანონიმურობის დაცვას (მედია)ორგანიზაციის ის თანამშრომელი შეძლებს, რომელსაც ინფორმაცია გაანდო (იქნება ეს ჟურნალისტი თუ მაგალითად არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი), იგი თავს შეიკავებს ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნებისგან, გავლენიანი პირების მხრიდან შურისძიების განხორციელების საფრთხისა და ფიზიკური უსაფრთხოებისთვის ზიანის მიყენების შიშის გამო. შესაბამისად, სადავო ნორმების მოქმედება არამხოლოდ მოსარჩელე (მედია)ორგანიზაციებს აზიანებს, არამედ უკიდურესად სახიფათოდ აქცევს მამხილებლების მიერ დანაშაულის თუ დანაშაულებრივი სქემების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას.

ამგვარად, სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების გარეშე, მოსარჩელე (მედია)ორგანიზაციები კარგავენ იმ ფარს (წყაროს კონფიდენციალობის პრინციპს), რითაც ისინი იცავდნენ თავიანთ წყაროებს, მოიპოვებდნენ სანდო და ექსკლუზიურ ინფორმაციას. შედეგად, მოსარჩელე მედიაორგანიზაციები ვეღარ შეძლებენ საზოგადოებისთვის მწვავე და აქტუალური საკითხების გაშუქებას და საჯარო ინტერესის დაკმაყოფილებას. ამ უნიკალური და გამორჩეული ფუნქციის გარეშე კი, მედია თავის ფუნდამენტურ როლს კარგავს, რითაც იგი განსხვავდება ხელისუფლებასთან აფილირებული მედიისგან, რომელსაც ამგვარი საკითხების გაშუქების ინტერესი არ აქვს.

გარდა ამისა, მედიის კომერციული თუ არაკომერციული შემოსავალი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მაყურებლის/მომხმარებლის ნდობაზე. შეურაცხმყოფელი იარლიყის მიკერებით, მედიას შესაძლოა არსებითად შეუმცირდეს სარეკლამო თუ სხვა სახის შემოსავლები, ვინაიდან შემცირდება მისი მაყურებლების/მკითხველების რაოდენობა.

მთლიანობაში, ყალიბდება მტრული და ღირსების შემლახავი ნორმატიული გარემო, სადაც არაერთი ლეგიტიმური საქმიანობის განხორციელება, ასევე გამოხატვის თავისუფლებით სრულყოფილად სარგებლობა, საფრთხის შემცველია, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში. თითოეული ზემოთ მიმოხილული ძირითადი უფლებების დარღვევის ასპექტი, მათი გავლენა მოსარჩელე ორგანიზაციათა ფუნქციონირებაზე, საბოლოოდ ქმნის იმგვარად გარდაუვლად დადგომად გამოუსწორებელ შედეგებს, რომლის რეაბილიტირება, სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად გამოცხადებასაც კი არ ძალუძს.

ამდენად, მოსარჩელე მხარის პოზიციით, სახეზეა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გამოუსწორებელი ზიანი.

6.2. შესაძლებელია თუ არა სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების გზით გამოუსწორებელი ზიანის თავიდან აცილება:

საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებისას აფასებს მის ეფექტიანობას და გავლენას მოსარჩელის სამართლებრივ მდგომარეობაზე. სასამართლო ნორმის მოქმედებას შეაჩერებს იმ შემთხვევაში, თუ ამ ღონისძიებით შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანის თავიდან აცილება, პრევენცია (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის №2/2/1337 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ხათუნა წოწორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებას მოსარჩელე ორგანიზაციების სამართლებრივ მდგომარეობაზე არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლია და სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მათთვის გამოუსწორებელი ზიანის, კერძოდ მათი ფუნქციონირების უკიდურესად გართულების და არსებობისთვის ეგზისტენციური საფრთხეების აღმოფხვრა ძალუძს.

სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებით, მოსარჩელე ორგანიზაციებისთვის აღარ იარსებებს მათი „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა“ რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულება და ამისთვის შესაბამისი განცხადების, განაცხადის/საფინანსო დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებები. ამასთან, სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებით, ორგანიზაციების მიმართ იუსტიციის სამინისტრო ვეღარ გამოიყენებს მონიტორინგის, ისევე როგორც მათზე და მათგან ნებისმიერი სახის ინფორმაციის, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემებისა და საიდუმლო ინფორმაციის მოძიების რეპრესიულ მექანიზმებს (იხ. ქვეთავი N2.2, 2.4 და 2.6.).

სადავო კანონის გასაჩივრებული დებულებების მოქმედების შეჩერებით, ბუნებრივია, აღარ იარსებებს მოსარჩელე ორგანიზაციებისთვის მომახრჩობელი და გაკოტრების განმაპირობებელი ჯარიმების გამოყენების სამართლებრივი შესაძლებლობა. თუმცა, განსაკუთრებულად ხაზი უნდა გაესვას სადავო კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედების შეჩერების შედეგებს, ვინაიდან ეს უკანასკნელი, სადავო კანონის დროში მოქმედებას არეგულირებს. სწორედ ამ სადავო ნორმის საფუძველზეა შესაძლებელი სადავო კანონის დანარჩენი ნორმების ამოქმედება არა 2025 წლის იანვრიდან, არამედ 2024 წლის აგვისტოდან. ამდენად, მისი მოქმედების შეჩერება პირდაპირ არის დაკავშირებული და შეუძლია მოსარჩელე ორგანიზაციათა სამართლებრივ მდგომარეობაზე რეალური გავლენის მოხდენა.

ამგვარად, სადავო ნორმების მოქმედების შეჩერება არსებით გავლენას მოახდენს მოსარჩელე ორგანიზაციების სამართლებრივ მდგომარეობაზე, ააცილებს მათ გარდაუვალ საფრთხეებს და შესაძლებელს გახდის მათი საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებას, კონსტიტუციით გარანტირებული გაერთიანების და გამოხატვის თავისუფლებით შეუფერხებელ სარგებლობას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

6.3. გააჩნია თუ არა მოსარჩელეს ზიანის თავიდან აცილების შესაძლებლობა სხვა სამართლებრივი საშუალებებით;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „*გამოუსწორებელი შედეგის დადგომა ნიშნავს ისეთ ვითარებას, როდესაც ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლების შეუქცევადი დარღვევა და დამდგარი შედეგის გამოსწორება შეუძლებელი იქნება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი. ამასთან, პირს ასეთი შედეგის თავიდან აცილების სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა არ გააჩნია*“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის №1/3/452, 453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2)“. ამდენად, გამოუსწორებელი შედეგის წარმოჩენასთან ერთად, აუცილებელია გამოიკვეთოს, რომ მოსარჩელე ორგანიზაციებს არ აქვს ამ შედეგის თავიდან აცილების, ან მისი შემცირების სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა.

პირველ რიგში, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის“ იარლიყის მასტიგმატიზირებული და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ეფექტიდან მომდინარე ზიანის შემცირებას, ამგვარ ორგანიზაციად რეგისტრაციაზე უარის თქმა ვერ უზრუნველყოფს. როგორც უკვე აღინიშნა, სადავო კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იძულებითი რეგისტრაციის უფლებამოსილებას ანიჭებს. თავის მხრივ, სამინისტროს იძულებითი რეგისტრაციის მექანიზმის გამოყენება მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე შეუძლია. რეგისტრაციისა და მონიტორინგის იძულებითი ბუნების გათვალისწინებით, ზიანი — მასტიგმატიზირებული და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ეფექტის სახით — მხოლოდ და მხოლოდ იზრდება.

გასათვალისწინებელია, რომ 2024 წლის აგვისტოში, ორგანიზაციას მოეთხოვება რეგისტრაცია 2023 წლის საქმიანობისთვის და იგივე საქმიანობის სხვანაირად, იმ ფორმით განხორციელება, რომელიც ორგანიზაციას ზიანს ააცილებს, შეუძლებელია. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ორგანიზაციები უარს იტყვიან სამომავლოდ უცხოური დაფინანსების მიღებაზე, ეს მათ რეგისტრაციის ვალდებულებისაგან არ ათავისუფლებს. მიმდინარე წელს, რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობის საფუძველი კანონმა დაუკავშირა უკვე განვლილ პერიოდს, 2023 წელს განხორციელებულ საქმიანობასა და მიღებულ შემოსავალს, სადავო ორგანიზაციებს თეორიულადაც კი არ შეუძლიათ რაიმე ფორმით ზემოქმედება და ამ ვალდებულების თავიდან აცილება.

რაც შეეხება მონიტორინგთან ან/და არაპროპორციული ჯარიმების გამოყენებასთან დაკავშირებულ ზიანს, მისგან მოსარჩელები დაცული არ არიან დარეგისტრირების შემთხვევაშიც კი.

ამ კონტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მოსარჩელე ორგანიზაციები მათთვის მასტიგმატიზირებელ რეესტრში გადაწყვეტენ რეგისტრაციას, ისინი არ თავისუფლდებიან მონიტორინგის განხორციელების რისკისგან. მათ მიმართაც ისევე არის შესაძლებელი მონიტორინგის განხორციელება შემოწმების მიზნით, როგორც დაურეგისტრირებელი ორგანიზაციების შემთხვევაში. ამასთან, ნებისმიერი ორგანიზაცია, განურჩევლად რეგისტრაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებისა, ერთნაირად ექვემდებარება როგორც პერსონალური თუ სხვა სახის საიდუმლო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას (ამგვარი მოთხოვნა არსებობისას), ასევე შესაბამის პასუხისმგებლობას (ჯარიმის დაკისრებას).

სადავო ნორმებით განსაზღვრული მექანიზმების ერთობლივად გამოყენება ზრდის ზიანის ინტენსივობას, თუმცა იგი უკვე გამოუსწორებელი ბუნების მქონეა (სადავო კანონის გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს). კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში, არაერთხელ იქნა წარმოდგენილი მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ თავისთავად მასტიგმატიზირებელი იარლიყი უკვე იწვევს გამოუსწორებელ შედეგებს მოსარჩელე ორგანიზაციებისთვის.

მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ მოსარჩელე ორგანიზაციები ექვემდებარებიან არ აყენებენ გასაჩივრებული კანონიდან გამომდინარე რეგისტრაციისა თუ დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებას; არც იმ გარემოებას, რომ ამ ქმედებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაბამისი სამართალდარღვევის დადგენა და პასუხისმგებლობის დაკისრება, ფორმალური თვალსაზრისით, კანონიერი იქნება (გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც ცხადად წარმოშობს სადავო კანონის ბოროტად გამოყენების რისკს). განსახილველი კონსტიტუციური სარჩელის 2.4. ქვეთავში უკვე იქნა წარმოდგენილი მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ და ვერ წარმოადგენს საერთო სასამართლოების კონტროლი სადავო ნორმებიდან მომდინარე ძირითადი უფლებების დარღვევის თავიდან აცილების ეფექტურ საშუალებას. ამდენად, ამ მსჯელობას აღარ გავიმეორებთ, თუმცა, იგი სრული მოცულობით რელევანტურია მოცემული შუამდგომლობის ამ ნაწილისთვისაც.

აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ არ არსებობს არათუ სადავო ნორმებიდან მომდინარე და გარდაუვლად დადგომადი გამოუსწორებელი ზიანის თავიდან აცილების, არამედ მისი შედეგების თუნდაც მცირედით შემცირების რაიმე ალტერნატიული სამართლებრივი მექანიზმი.

6.4. სხვა ლეგიტიმური ინტერესების დაზიანების საფრთხე არ იქმნება: მითითება ლეგიტიმურ ინტერესებზე

მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტში ექსპლიციტურად არ არის მითითებული, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, სასამართლო სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას ითვალისწინებს სადავო ნორმის შეჩერების ეფექტებს, სხვადასხვა ლეგიტიმურ კონსტიტუციურ ინტერესებზე, მათ შორის — სხვათა უფლებებზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სადავო ნორმები არ არის მიღებული საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. მეტიც, სადავო ნორმების de facto ლეგიტიმური მიზანი პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითადი კანონის ფუნდამენტურ ღირებულებებს — სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებს.

მეტიც, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმების შეჩერება კონსტიტუციით დაცული არაერთი ლეგიტიმური ინტერესისთვის მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა. ამ თვალსაზრისით, გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე, განსაკუთრებით, „სახელმწიფოს სუვერენიტეტზე“. აღნიშნულ სიკეთეზე აქცენტის გაკეთებას მოსარჩელე მხარე მიზანშეწონილად მიიჩნევს მმართველი პარტიის წევრი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ გაკეთებული განცხადებების ფონზე, რამდენადაც, სადავო კანონის განმარტებითი ბარათის მიღმა, მმართველი პარტია საკუთარ მიზნებს სწორედ დასახელებული ეროვნულ ინტერესით ნიღბავს. საუკეთესო შემთხვევაში, ამის მიზეზი, შესაძლოა, ვიწრო პარტიული და პირადი ამბიციებით აიხსნას. ამდენად, საკონსტიტუციო სამართალწარმოებისას, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების საკითხის გადაწყვეტის მიზნებისთვის, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დავასაბუთოთ, რომ სადავო ნორმები არათუ ემსახურება, არამედ პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის დასახელებულ ლეგიტიმურ ინტერესებთან და სადავო ნორმების შეჩერება ემსახურება სწორედაც საქართველოს ეროვნულ ინტერესების დაცვას.

საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლი განამტკიცებს საქართველოს სუვერენიტეტს. პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, *„საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“*. ციტირებული დებულება საქართველოს სუვერენიტეტში მოიაზრებს საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სუვერენიტეტის დამდგენ კონსტიტუციურ ნორმას ორპუნქტიანი შემადგენლობა აქვს, რომლის მე-2 პუნქტი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი საზღვრების პატივისცემის საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებას უსვამს ხაზს. უკანასკნელი საუკუნეების, მათ შორის უახლესი წარსულისა და აწმყოს გათვალისწინებით, საქართველოს სუვერენიტეტისთვის უმთავრესი საფრთხე რუსეთის ფედერაციაა, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 20% ხოლო ოკუპირებული ტერიტორიები აღიარებული აქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად.

აღნიშნულ გამოწვევებს საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა სახვადასხვა მექანიზმებით პასუხობს, მათ შორის, გამოსაყოფია საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი, რომლის თანახმადაც *„კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“*. სხვაგვარად, საქართველოს ევროინტეგრაცია არის საქართველოს ეროვნული ინტერესი, რაც კონსტიტუციის მიღმა დადასტურებული და აღიარებულია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით, რომელიც თავის მხრივ, საქართველოს უსაფრთხოების — სუვერენიტეტის დაცვის კონცეპტუალური დოკუმენტია.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის თანახმად, *„რუსეთის ფედერაციის მთავარი მიზანია საქართველოს არშემდგარ სახელმწიფოდ ქცევა, მისი ევროპული და ევროატლანტიკური არჩევნის რეალიზაციისთვის ხელის შეშლა და ქვეყნის რუსულ ორბიტაზე ძალით დაბრუნება“*. კონცეფცია მიუთითებს, რომ *„არსებობს ახალი რუსული აგრესიის პოტენციური რისკი“* და იქვე აღიარებს რონ *„საქართველოსადმი გამოხატული საერთაშორისო მხარდაჭერა, მათ შორის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ყოფნა, ამ რისკის შემაკავებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია“*.

კონცეფციისვე თანახმად, *„საქართველოს საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი მისი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში გაწევრებაა“*. იქვე,

კონცეფცია აღიარებს, რომ „საქართველოს სუვერენული არჩევანია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ევროკავშირში ინტეგრაცია, რაც განმტკიცებს ქვეყნის უსაფრთხოებას და უზრუნველყოფს მის სტაბილურ განვითარებას“.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ადასტურებს, რომ „ევროკავშირში ეტაპობრივი ინტეგრაცია საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა“ და იქვე მიუთითებს, რომ „ევროკავშირთან თანამშრომლობის განვითარება ხელს უწყობს ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, უსაფრთხოების განმტკიცებას და ევროკავშირთან ეკონომიკურ ინტეგრაციას“.

ამავდროულად, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მიუთითებს, რომ „საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურად უჭერს მხარს მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ქვეყანაში ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას და საქართველოს სრულ ინტეგრაციას ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში“. კონცეფციის თანახმად, „საქართველოსთვის მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გაწეული ფინანსური დახმარება“.

სადავო ნორმები, სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანებასა თუ უცხო სახელმწიფოს, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციისა და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის თანახმად, საქართველოს სუვერენიტეტის (დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის) მთავარი მხარდამჭერები არიან, განიხილავს საფრთხედ და მთლიანობაში, ხელს უწყობს, საქართველოს გეოპოლიტიკურ იზოლაციას. სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების მიზნებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე არსებული პერსპექტივები და ამ პროცესზე სადავო კანონის მოქმედება. ამ საკითხზე, წარმოდგენილი კონსტიტუციური სარჩელის 3.4. ქვეთავში უკვე იქნა სათანადო მტკიცებულებები მოყვანილი და დასაბუთებული, რომ კანონის ქართული სამართლებრივი სივრცის ნაწილად არსებობა დამაზიანებელია მისი ათწლეულების განმავლობაში ნაშენები საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობებისთვის, განსაკუთრებით კი ევროკავშირში ინტეგრაციისთვის. 2024 წლის შემოდგომაზე, სწორედ ევროკავშირმა უნდა გადაწყვიტოს საქართველოსთვის მოლაპარაკებების გახსნის საკითხი.

ამ ფონზე, სადავო ნორმების შეჩერებას უდავოდ დადებითი გავლენა ექნება საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით გაცხადებული კონსტიტუციური ინტერესის რეალიზებაზე. ზიანი, რომელიც მმართველმა პარტიამ საქართველოს სუვერენიტეტს კანონის მიღებით უკვე მიაყენა, არათუ დამძიმდება ამ კანონის სადავო ნორმების შეჩერებით, არამედ პირიქით, სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია ამ ზიანის თვისებრივი შემცირება და განეიტრალება.

3. შუამდგომლობა პერსონალურ მონაცემთა დაფარვის თაობაზე

4. შუამდგომლობა/მოთხოვნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ

5. სხვა შუამდგომლობები

IV

თანდართული დოკუმენტები

1. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული სავალდებულო დანართები

სადავო ნორმატიული აქტის ტექსტი	<input type="checkbox"/>
ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი	<input type="checkbox"/>
წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი	<input type="checkbox"/>
კონსტიტუციური სარჩელის ელექტრონული ვერსია	<input type="checkbox"/>
მოსარჩელის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი	<input type="checkbox"/>

2. სხვა დანართები *შენიშვნა*⁸

1.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27³ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეები ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად გამოიყენონ თავიანთი უფლებები. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წინასწარი შეცნობით ყალბი ცნობების მიწოდება იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“.

ხელმოწერის ავტორი/ავტორები	თარიღი	ხელმოწერა
1. გიორგი დავითური	1. 18.07.2024	1.
2. ხათუნა კვინცხაძე	2. 18.07.2024	2.
3. გიორგი გოცირიძე	3. 18.07.2024	3.
4. ხატია ცეცხლაძე	4. 18.07.2024	4.
5. მარინე კაპანაძე	5. 18.07.2024	5.

⁸ გთხოვთ მიუთითოთ დანართის ნომერი, თანდართული დოკუმენტის დასახელება და მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (არსებობის შემთხვევაში).